



ქიმორგე
კიფანი

GEORGE
Kipiani

პოეტის ტესტიკულის
კაბინი.

ŒUVRES POÉTIQUES
GEORGIENNES

65- სარი 80 - 73



გიორგი
ჩიჭიანი

GEORGE
Kipiani

პრეზიდ ტე სიცოცხლის
კამპ.

ŒUVRES POÉTIQUES
GEORGIENNES

65-ჟარიზი-73

მიმდევა



MÉDITERRANÉE



J'étais face à la mer
Bleu comme la mer
Par les visions glacées
Qui se mouvaient
Sur les flots silencieux
Comme en rêve...
L'infini miroir
Qui reflétait ce monde
Absorbait tout entier
La lune sur ses ondes,
Au ciel les étoiles
Scintillaient et brillaient
Et la Méditerranée
En joyaux métamorphosaient !
Du port de la Mer Noire
Soufflait, songe passé
Le vent des rêves
Tout vibrant encore
Des légendes surannées :
Navire pirate
Argo voguait
Enlevait, ô richesse,
La Toison fabuleuse
Fruit d'amour outragé
Et de folie envieuse.
Les vagues vivantes
De la mer en rage
Rendaient le gouvernail
Indomptable et sauvage,
Les rames d'écume blanche
Volaient dans les airs !
Fuyait le rêve...
Fuyait la galère
La Colchide dépouillée
Avec les Argonautes
Sous la Toison d'Or
Dissimulés !

Antibes 1966

Traduit par Irène Kipiani.

შეიძლება ფიქრი უცხოეთო
უცხო მფლოდისა,
ო... უპვებავიჩა
შენ იცოდი არ გიტბასეიგი,
მი ნაწილი ვახ
საჭართველოს გედის წინისა
და რუსთაველის
ვეხია მოვიდის მიათასედი.

ანი — ბანი

(იაკობ გოგეშვილის პსოვნას)

ანი — ბანი, ანი — ბანი
მცირედია მცირე ტანის,
რამდენ ფიქრის, რამდენ სიბრძნის
სტრიქონებში გადამტანი.

სასოების ასოები
პერგამენტზე ნაქსოვები,
თეთრ ქალალდზე აღბეჭდილი,
ხშირად ცრემლით ნასველები,
სცვივა, სცვივა შავ მარცვლებად
წარმოშვების სასოებით.

ანი — ბანი მზის მარცვალი,
შორს მავალი, პწყარზე-პწყარი
კალმის წვერით მოოქვილი,
სიბრძნის წიგნში გამომწვარი,
მეცნიერთა მოამაგე,
პოეზიის ნაპერწყალი.

ტყვიით კდება, ტყვიით დნება,
ციცვავს, ცელქობს და ტრიალებს,
ახლად შობილ საუკუნეს
აცნობს ქვეყნის მატიანეს.
ანი — ბანი მომხიბლავი,
თეთრ ქალალდზე სიტყვის მურელად,
მარცვლებს ზიდავს და წიგნს ავებს
ვით ათასი ჭიანჭველა.

პარიზი 1970

მიღითისაც

ზღვასთან ვიდექი
 ზღვასავით ლურჯი,
 იყო სიცივე მოჩვენებათა, —
 ტალღები მუნჯი.
 უსაზღვრო სარკეს
 ჩაეძირა მცურავი მთვარე,
 ვარსკელავთ ციმციმით
 მონივთული მეღიტერანე.
 შევი ზღვის ქარით
 შემოიტრა ფიქრების ქარი, —
 ფიქრების ქარი,
 უამთა დენის უკუ ბრუნება,
 სცურავდა არგო,
 გატაცების პირველი ნავი,
 ენების სიგიჟით
 სიყვარულის შემობრუნება.
 სანამ ზღვის ტალღა
 გაქანების საჭეს მოხრიდა,
 დაირჩეოდა აფრენილი
 თეთრი აფრები,
 მიჰქონდა ფიქრებს
 გაქურდული ძველი კოლხიდა
 და ოქროს ქურქში
 შეხიზნული არგონავტები.

ანტიბ 1966

პარიზი

შენ შეიმშვიდე ჩვენი სიცოცხლე,
 შენ ღმერთთა შორის მზიანო ზევსო,
 ნაპოლეონის მუსტა : სიმაგრევ,
 ქალაქო ქალი : ულამაზესო:

შენ სილამაზეს დრო აშენებდა
 სენის ნაპირზე მარჯვენით და მარცხნით,
 რამდენი რისხეა შემოგეხეთქა,
 ყოველი ტალღა დასრულდა მარცხით.

ცეზარის დროის ცეცხლი და ბრძოლა,
 იყავ პარისლის თვალი ლუტესი
 შემდეგ ნოტრდამის ფუძე და ლოცვა,
 ნათელი ჯვარით მზეზე უმზესი.

შენი კომუნა, შენი ტიერი,
 გზები შეკრული სისხლის ლილებით,
 შენი დანტონი — რობერპიერი,
 თავისუფლების ბასტილიები.

ვინ არ გიმდერა, ვინ არ გადიდა,
 შენი სენის და ქუჩის ტალებში,
 სიტყვას ვერ გიძლენი მე შენ ადეილად,
 ხელოვნებით ხარ ხელმონალები.

როცა ლურჯი ცა სხივთა მოფენით
 ლუვრს აღიველიებს ოქროთვალება,
 ეხვევა სიო ტულერის ბაღებს
 და სენის პირზე მიმალება.

ემშვიდობება მოშავალ ამბებს
 აჩქარებული აწმყო — მყობადი,
 ნისლში მიარხევს სენის ნაპირებს
 არტურ რემბო და მთერალი ხომალდი.

ეშვება შავი ტალღების შრიალს,
 ხიდ ქვეშ კლოშარი უღიმის ღვინოს,
 ყელ მოლერილი სახრჩობელები
 ელოდებიან ფრანსუა ვილონს.

ღამით ბრწყინვალე ფერთა სათრობი
 მსგავსი ამ ქვეყნად ნეტავ სად არი..?
 ფილის ტაბარი უამთა მნათობი,
 თავისუფლების თავშესაფარი.

შენმა წლეებმა შემოიფერდელა
 ივერიელთა კუბო ძვალ-ხრეში,
 იყავ ნაცვალი სამშობლო დედის
 ჩერნი სიცოცხლის სიმწუხარეში.

პარიზი 1972

ახალი ტლის სიმარტოვი

ჩამოყინულა ფიქრი ქუჩაშე,
თოვლი ცეივა და იქარგება,
სხეულს აბერებს, სულსაც ათეთრებს,
წაიშლება და კვლავ იქარგება.

ლამით ლამაზი არის პარიზი,
უფრო ლამაზი წყლის პირზე დვომა,
ტალღებს მიჰყვება ძველ სილამაზით,
რაც გარდავიდა და ილარ მოვა.

პაუ, მწვერევალზე შენ წმიდა გულო
და შენ ნოტრდამის დებო და ძმებო,
საკაცობრიო ხნის სიკვარულო,
ათასეულო განველილო წლებო!

ერთად მოხვედით, ერთად წახვედით,
შობა — სიკედილის ანთეთ სანთლები,
ალავსეთ მიწა, ალავსეთ ზეცა
ძვლების და სულის ამანათებით.

რად ვათამაშებთ დალლილ თარიღებს,
რა არის ნეტავ ახალი — ძველი?
დავკეტავ კარებს, კარებს გამიღებს
ლოდზე წარწერა დაკარგულ ცრემლის.

პარიზი 1971

საპრე-კონის ტაქარს

ცად ასულო გუმბათებო,
 ღამნათევეო ქრისტეს ჯვარო,
 აზიდულნო სულ მნათებო,
 ანთებულო სანათებო.

ბიზანტიის მოჩეუნებავ,
 რომაელთა ნგრევის ფერფლო,
 მრავალ ხელის მრავალ ფერით
 შერწყმულო და შენაერთო.

ხელოენებით სანაქებო,
 წმიდა ქვებო, ლოცვის მთქმელნო,
 ლურჯ თალებში გაბნეულო
 მოციმციმე მინანქრებო.

წამებულთა წარწერებო,
 ნაწამებო ფუნჯის გულო,
 ფერთაწერის ნაწვეთებით,
 მოოჭეილო, მოქარგულო.

ვინ გაშენა, გიპყრო შენად, —
 ხელის ვნებით აგაშენა, —
 ლურჯ თალებში ლვთის განგებამ
 მიგილო და დაგამშვენა.

პარიზი 1966

კლოშარი

როცა ღამით მზე გაჰქრება,
 და პარიზი იწყებს თვლემას,
 ელ-მნათების მინანქრები
 სენის პირზე აინთება.

მიყვარს ცერია წყლის ტალღებში, —
 მას მიყვება ოცი წელი,
 გადასულის განახლება,
 წელთა დენის წყლით ნაწერი.

ზის ქლოშარი სენის პირზე,
 დაძონძილი ჩერების ჩრდილი,
 წვერი წვირს იხვევს პირზე,
 წვერი მკერდზე ჩამოშლილი.

ყოველივე დაივიწყა,
 საზრდოს ეძებს ნაგვის ყუთში,
 სახე უგავს მტერიან მიწას,
 უსისხლოა მისი კუჭი.

წყალს უამბობს წასულ ამბებს,
 ამბებს ნაკრებს ვარდის თვეში,
 შორს ქუჩები ავტო-ცხენებს
 გაგიერებით მიაქენებს.

ლამაზ ქალებს შეხვედრა აქვთ,
 შეხვედრა აქვთ სენის პირზე,
 ცას ლრუბლები ავიწყდება
 სალაფვარდო მზის სიცილზე.

ზის კლოშარი სენის პირზე,
 გამხმარ პურის ნაჭრებს ღეჭავს,
 შმაგი ქუჩა არ ისვენებს,
 რკინის ქუსლით დლეებს ბეჭდავს.

ბრძოლა არის დლე და ღამის,
 მზე სიცოცხლის სურვილს ახრჩობს,
 მკვლელობს მთვარე თეთრი დანით,
 ბნელ სურათის სისხლის ჩარჩო.

კლოშარი ზის სენის პირზე,
 უცნობი და უანგარი,
 დროთი აზრებს ათილისმებს,
 მისთვის მკვდარი ეს სამყარო.

გენერალი ჯარს მიუძღვის
 მრავალ ბრძოლით საამაყოს,
 ხალხი ყვავილთ გროვას უძღვნის,
 ვინც პლანეტა სისხლით დაჰყო.

ზის კლოშარი სენის პირზე,
 უცნობი და უსახელო,
 მისი გვარი? შორით მდგარი,
 უთქმელი და უგებარი, —

ნუ ვკითხულობთ, არას გვეტყვის,
 ვინ გაცეალა კაცი გმირზე.
 ვით დაცინვა მთელი ქვეყნის
 ზის კლოშარი სენის პირზე.

პარიზი

(ორი სტრიქონის გამოცვლის გამო, მხოლოდ
 ეს შიორი იბეჭდება განმეორებით).

თორმელი მიზანი

სიზმრებში ეშვება საყდარი,
წმიდანებს აშინებს ქვესქნელი,
წინანდელს მოჰყვება ახალი,
ახალი წამების ფრესკები.

ანგელოზთ ხმა, მწყობრი გალობა,
ლურჯეთის ღვთიური ზმანებით,
გლოვობენ ქვეყნიურ საგლოვარს
შორეთში მფრინავი ზარები.

სარქმელი ფერების შემქრები,
სინათლე ჯვარუმული სანთელის,
ფერებში გამხმარი ნექნები,
ნათეთრი ციური ნათელით.

სად იყო ამდენი ჩვენება,
სად იყო ამდენი ამბები!
დრო მიღის და აღარ ჩერდება,
დროს მიჰყავს მლოცველი მამები.

მოისმის შორეთის ტყეებში,
პირველი წამების არია:
სისხლი სდის დალურჯულ ხელებში, —
შეგვინდე წმიდაო მარიამ!

პარიზი 1968

პიგალის ძუანა — 62

ჩავიდელი ქუჩას, პიგალის ქუჩას,
 ცუცქერი რეინით ჩაქეტილ კარებს,
 პიგალის ქუჩას ბოლო არ უჩანს,
 ბოლო არ უჩანს წელთა ნაკვალევს.

მონმარტის ღამეს ვინ არ წვევია,
 წითელ წისქვილის ბრუნვა ფერადი,
 თეთრი ტაძარის მწვერვალებიდან,
 ფერთა მწერლების ფერთა სეფადი.

მუსიკის კენესა, როკვა, დაფუ-დაფი,
 წელმოწყვეტილი ცერებზე დგომა, —
 „კაეკასიური ღამის სარდაფი“, —
 გარეთ სიცილი, გულში კი გლოვა.

ღამპიონები ქსოვდა არშიებს
 შამპანიურის შეების თვალებით,
 და ეხვევოდნენ კარდუს ნაშიერთ
 ენებით ნაფრენი თეთრი კაბები.

მაგრამ თამარმა ასე ინება:
სჯობდეს საქმენი საგმირონია,
„თამარ პირველი“ — „თამარ მეორე“,
თამარის დროშამ გაიყოლია.

წავიდა, გაქრა ამბავი ძეელი,
იმედი იმედს გადაემტერა,
ნისლებში მოჩანს სიცოცხლის ძმები
და თვით სიცოცხლე ქცეულა მტკერად.

გარდაცვლილებს და მარად უცვლელებს,
ახალგაზრდებს და მრავალ წლებიანს,
შავ ღამეებში ლეინის ფურცლებზე
რამდენი სეედა წაუწერიათ..?

ჩავიდო ქუჩას, პიგალის ქუჩას,
ვუცემერი ჩეინით ჩაკეტილ კარებს,
პიგალის ქუჩას ბოლო არ უჩანს,
ბოლო არ უჩანს წელთა ნაქვალევს.

პარიზი 1968

მოხუცი და გავავი

გთხოვ მიმაცილო, ჩემო პატარავ,
 გთხოვ მიმაცილო, შორს არ მივდივარ,
 გზა მცირედია, თვალში ბინდია,
 გზა მცირედია ვიწრო გზა-ქვალა.

აღარც მშე მინდა და აღარც მთევარი,
 მე დავილალე უაზრო ყოფნით,
 ვით განსვენება, სულის სიმშვიდე,
 ეარ მოჩენება ამ წუთისოფლის.

გთხოვ მიმაცილო, ჩემო პატარავ,
 შენ დაწყება ხარ, მე დასასრული,
 შენ სიახლე ხარ, მე თმა ჭალარა,
 შენი სიცოცხლით დრო გადასული.

და როცა ჩვენ წინ დადგება ჯვარი,
 სიკვდილ-სიცოცხლის სიმწრით ნაგები,
 და გამოჩენდება უსაზღვროება,
 ფერ გადასული სარკოფაგებით,

გთხოვ მიმატოვო, ჩემო პატარავ,
 მე მოჩენების ქარში გავქრები,
 მარადიული სულის ბრუნვაა
 ჩემი სიტყვა და შენი სათქმელი.

პარიზი 1970

რამდენი ხმალი სისხლში გამხმარი,
ხმლებისა ბრძოლა, ხმალზე ჯვარის ტარი,
ოქროს მწევერვალზე დგას ვატიქანი,
ირგვლივ სიმღიდორე, არსად ხის ჯვარი!

ჯვარისკაცს ჯვარი რომ ჩამოჰკიდეს,
ასე უბრძანეს: იბრძოლე კიდევ!

ჯვარი გენერალს არ ჩამოჰკიდეს,
მტერმა გადუჭრა გზა კიდით-კიდე!

მშობიარობის გაიხსნა ბალე,
ჯვარი მოგნათლავს გვიან თუ აღრე!

ქალის თვალებმა მოგტაცა ცქერა,
მოგელის კოცნა და ჯვარის წერა!

შეილი გეყოლა, შეილი მონათლე,
ბარძიმის მძიეო ჯვარზე ანათებს!

ხანში შეხვედი, მოგიკვდა დედა,
დედის კუბოზე კვლავ ჯვარსა ხედავ!

გარდაიცვალე, ვეღარ გიცანი,
დაჯვარალინდა კუბოს ფიცარი!

ჯვარს თან მიჟუვება ვით სამლოცველო
ჩემი სიცოცხლე და ჩემი გვარი,
მაგრამ სხვა იყო, მაგრამ სხვა იყო,
ქრისტეს წამება და ქრისტეს ჯვარი!

პარიზი 1966

ამა ქვეყნიდან

ამა ქვეყნიდან მეც გავალ ერთ დროს,
დავუბრუნდები სიდან მოვსულვარ;
მიმიღებს მხარე მარადიული,
იქნებ კეთილად, იქნებ ავსულად.

მან გამომგზავნა ხანმოქლე მგზავრად
და შენ დროებით მიწავ მიშვილე,
მომეცი ფორმა, გული და განცდა,
რომ დამეკარგა სულის სიმშვიდე.

მომეცი თვალი, მომეცი ფერი,
ჩამაცეი შავი, ჩამაცეი თეთრი,
დამადე ვალი ცისა და ქვეყნის,
სიამე მზის და სიმწარე სეტყვის.

ვინ დაასრულებს, პასუხს ვინ მეტყვის?
რატომ არ მესმის, რატომ არ მესმის,
სულთა ძახილი უხილავ ქვეყნის?

პარიზი 1967

რაღგან ის თასი

(ომარ-ხაიამის ხსოვნას)

სიცოცხლე ჩვენი
ვარდის ფერი ღვინის თასია,
მასში ასხია
მზით ნაწური ფერთა ფერები, —
მოედივართ, ეხარომთ
წარმოშვების პირველ თესლიდან,
როგორც წეიმაში
დაქარგული ცისარტყელები.

სიცოცხლე ჩვენი
ვარდის ფერი ღვინის თასია,
ცხელი ტუჩები
სულის სიბრძნით ეხავერდება;
ჩვენ ის დაგვიცავს
თვით სიკედილის გარდაცეალებით,
რაღგან ის თასი
ვარდის ფერი ღვინით საცსეა.

პარიზი

გამოირჩა

რაც უნდა ვთქვა, ნათქვამია,
 რაც უნდა თქვა, უკვე ითქვა!
 ვინ დაბადებს ასთავიანს,
 წელს ვინ შეცვლის წამის წუთად!
 მეორედება გამრავლება
 მიღიარდზე მიღიარდი,
 წარმოშვების პირველ ხნიდან
 ვარდ-ყვავილთა ია-ვარდი.
 სიმაღლეზე დროს აიტან,
 დაგორდება დასავლისკენ,
 დასაწყისის დასასრული,
 ახლად შობის სიხალისე.
 შორეთიდან დაბრუნება
 ვარდასული დროთა ბრუნვის,
 მომავალის განახლება
 მიღიონი საუკუნით.
 შეილის შეილი, შეილის მოელის,
 გვარი რჩება, არ გვარდება,
 სიცოცხლეში სიკვდილს ძინავს
 და სიკვდილში დაბადებას.

პარიზი 1972

საახალწლო შესახეობაზი

(ცუდლვნი პოეტ გიორგი (გუგული) გამყრელიძეს)

ქალთა ქარავანს, ბლონდების ხეეულს,
 ღამის სარკეში ჩაძირულ უქმეს,
 ვაზის წნელივით დაგრეხილ სხეულს
 და მტევნებივით მოსრესილ გულ-მკერდს.

ბახუსის ბინას, წმიდათა-წმიდას,
 ყელ ამდერებულ ლერწმების ყანწებს,
 სიხარულს, გლოვას, ხვალინდელ წირეას
 და განწირულთა უმწეო შემწეს.

პოეტს ნამთვრალევს, ღამით დალეულს,
 მდიდარ ხელის ჭუპყს მწვანე დოლარებს, —
 ღმერთო! შეუნდე კოველ წამებას,
 კაცს უსინათლოს მზეში მწოლარეს.

მეძავ სარდაფუში ღამის ლამაზებს,
 მოჩერენებათა აბარბაცებას,
 ლეინის ტალღებში ჩაძირულ ქართველს
 და უცხო გზაზე ლოდის დაცემას.

პარიზი 1966

ჩემო ფიქრება წუხო ფელო

ცულში ჩამჯდარო გულნარა
 სიზმარო დღე და ღამისა,
 ბაგრატის ტაძრის ნანგრევო
 ადგილო მზე და მთვარისა.

ცაჲე მლერიან ზარები
 შენგან დარგული ჯეარისა,
 ალმა ალდგომის თვალები
 ანდერძი მამა-პაპისა.

ქუთაისო,
 და თბილისო
 ორლომის მწვანე სოფელი,
 ალდგომის დილის ცისკარო
 ჩემო ფიქრება წუხო ფელო.

ალდგომის ღამე 1966

Hippies

ფერთა წყობის პარმონია,
 თეთრ-წითელა ყველელი,
 ძალა დაძლევს ძალლონიანს,
 სიყვარულის კითხვებით.

მზეთ იშლება სიხარულში,
 სიყვარულის ბაეშვები,
 აღარ უნდათ ეს ქვეყანა
 ძელით და სისხლით ნაშენი.

ააფრინეთ ცაში მტრედი
 ბორჟილების აშვებით,
 მომცინარე სანფრანსისკო,
 ყვავილების ბაეშვები.

კმარა, კმარა მოტორებით
 შემურაული ქუჩები,
 გაღაკოცნეთ ვარდ-ბალები
 ყვავილების ტუჩებით.

თქვენსკენ მოდის საშინელი
 დროთა გლოვის ნაშთები,
 მარტის თვეში სისხლ ნადენი
 ჩემი ქვეყნის ბაეშვები.

მაგონდება მოწყენილი ,
 ნუკრი გიშერთვალება,
 მინდია და სიყვარული,
 ბრძენი ვაჟა ფშაველა.

პარიზი 1967

ფინო მკვლელობა

ძვლები აქვს თეთრი,
 გული წითელი,
 გარე კანი კი ანათებს შავად,
 ნეგრი წვავს სახლებს,
 სახლი წვავს ბავშვებს,
 ფერთა სიმშვიდემ რა დააშავა!

ექიმი ბარნარ საკლავი გულით
 სიცოცხლეს აძლევს მომაკვდაც ბლამბერგს, —
 შავი თეთრშია, თეთრი უცქერის
 ხეზე დაკიდულს  შეების გვამებს.

ჩამოუვარდა თვალები მთვარეს,—
 გადაუშლია მზეს შავი წიგნი,—
 ფერების ბრძოლა, ფერების გლოვა,
 ფერთა მკვლელობა და ლუტერ კინგი.

პარიზი

ქარი დაუდეგარი,
შმაგი—
კველებან გზა სსნილი,
წაქცეული ხეების
კვნესა ამოძახილი.
უგულო და უაზრო,
უგულო და საზარი,
შემოპარულ ღამეში
კუბოებზე ნაზარდი,
შორეთიდან მოსული—
შორეთიდან ნამგზავრი—
ღამის ამომწუხხება,
განთიადის თაეზარი.

პარიზი 1971.

პრეზიდენტის საცლავზე.

ამ გაზაფხულში, იმ გაზაფხულში
მხოლოდ შენ იყავ მზე სამ წლიანი,
მზე სამ წლიანი ოქტომბრიანი
და კვაეილები გულ-მკერდიანი.

მაგრამ მოეიდა წვიმების თქეში
და შენი ეშნი ზღვამ გაიყოლა,
მზე გადავიდა, ის ალარ მოვა
ის ალარ მოვა, ზღვა არის გლოვა.

ლევილის ძმათა სასაფლაო 1972

მდგრადი

ეაშა დიდება მთლიანობას
 შიშით შეპყრობილს,
 ერთა სიცოცხლეს, ერთად ყოფნას,
 ცხრათა თანამობას.

ფრთხილად ევროპა!
 თავზე გადგის წითელი მდევი,
 რომლის მუცელში
 მრავალია პატარა ერი.

პარიზი 1972



ყოველი კუთხე ურთი-ერთსა ჰეგაეს
 ცულკანებით და ზღვებით აგებულს,
 სხვა და სხვა მოდგმის უცნაურ სელით
 აშენებულს და შემდეგ დანგრეულს.

ისევ დასაწყისს, ისევ დასასრულს,
 არსებობისთვის ნერევა-შენებას
 ძლიერი ხმალით,— ძლიერთა ბრძოლა
 და უძლურების გადაშენება.

დროებს გარდასულს ისევ დავეძებთ,
 კვლავ უბრუნდებით,—გვინდა გავექცეთ,
 ვართ წამებულნი უცოდველ ქვეყნის
 და მიჯაჭეულნი დედის მქლავებზე.

პარიზი 1973

ტყემლის ჟავაზილები.

ტყემლის ყვავილები,
 ნაზი დედოფლები
 თეთრი თავსაფრებით
 გზებზე იცქერიან.
 მოდის სიყმაწვილე
 მიწის სიმწიფლიდან,
 მიწა გადახნული,
 ფერთა მისტერია.—
 ლამის საფეხურზე
 გული ამოვიდა,
 სხივთა თაიგული
 ზეცას მიაწოდა
 მიცქერის სიყმაწვილე
 მზეში გარინდული,
 მწვანე აიენები
 ლურჯმა გაიყოლა,—
 ფიქრთა ფერიები
 სიზმრის ზეიმია,
 სახე ეფემერი
 ჩემი სიხარულის,
 მძინავს სიცოცხლეში
 და გულს ვეფერები,
 ტყემლის ყვავილები
 რომ არ დაიკიწყა.

პარიზი 1967

მთობლიური ზვავილები

(კუდონი სევერიან ჭირაქაძეს)

დამარცხება სად არ მიღის!
სადლეგრძელო სად არ ისმის!
მაგრამ სხვაა ჩვენი ქვეყნის
გამარჯვება მზე მაისის.

ქლასიკური, სათავადო,
რეალური, გიმნაზია,
ბავრატ მეფის ციხე-ქოში
მაღალ კლდეებს თავს აწია.

ცა ლურჯ კაბას ახავერდებს,
მზე ჩამოდის ოქროლვარად,
თეთრი ქვები სტრიქონებს წერს
ისტორიის სახელგვარად.

როს ჩეები იქვირტება
საზაფხულო სამზადისით,
უცხო გზებზე თანდამყენება
ყვავილები ქუთაისის.

ბიარიცი 1972

დედამიშვილი

ქაცი ვნახე —
 ქალი ვნახე —
 ეს წლევებიც
 გადაელახე.
 გული მრავლად
 ვანაწილე
 დავურიგე
 ქვეყნის გლახებს,
 მაგრამ დედი!
 სიყვარული,
 მე შენს გარე
 ვერსად ვნახე.
 მოხუცებულ
 თეალებს ვახელ,
 წლევებს ვახვევ
 თეთრი თმებით,
 მალე მოვალ
 დედი შენთან,
 მარადიულ ღაბრუნებით.

პარიზი. 1969

ლევილის ცაცხლებს

რისთვის ცატცახებთ ცაცხლებო,
 ქარი რად გიშლით ნერებსა..?
 რისთვის დასტირით წვიმებით
 მიუხშევლობის მერმეთსა..?

ნუ თუ არ გესმით ძახილი
 ამოგარდნილი ღამეთა,
 და საუბარი სიცოცხლის
 თვალებ დახუჭულ მამებთან.

ტრიალებს ქარი, ქაქანებს,
 წლეებს იტაცებს, აქანებს,
 შორეთის მწვანე ფოთლებში
 ახმობს და ისევ ახარებს.

ლევილი 1966

à Irène

მოულოდნელად გზა ამცდარნი
 ჩეენ შევეწყვილეთ,
 ვიყავი კენტი მოკუნტული
 ზამთრის ყინვაში,
 შენ მზე მეგონე, გამითბობდი
 გულს მიუგნებელს,
 გამიცოცხლებდი დამჭერარ ყვავილს
 ყვითელ სილაში.
 შემომახურე სამოსელია
 მორცხვი თვალების
 სულის სიმშვიდე
 ამ ქეყნიურ სანახაობის,—
 გეუბნებოდი:
 ერთად ყოფნა ერთად ავაგოთ,
 დრო მოწყენილი ვამზეუროთ,
 ჩემსკენ წამოდი.
 ვიაროდ სანამ გაგვიცედება
 იმედის ქუსლი,
 და ღებს მოიტეხს სიყვარული
 თვალებ მშიშარა,
 სანამ ყინვაზე დაიჩიქებს
 მოხუცი მუხლი
 და მოვა კუბო
 ორთა ყოფნის გასათიშვად.

ლოვილი 1970

მუშაობი

(დ. ყიფიანის ხსოვნას.)

„ძმას ძმისაგან.“

†

ცული ამინდია,
 სხვა გვარი წვიმია,
 წირვაა თუ გლოვა!..
 მშორდება, მშორდება,
 ვერასღროს ვერ ვნახავ,
 ვერასღროს ვერ მოვა.

†

კუბოსა დაჭედილს
 უნდოდა ვენახე
 მშობლიურ ვენახებს
 ცრემლები ჩამოდის.
 და ვაზის ჯვარიდან
 ლოცვა დალეწილი,
 წმიდანის თმებივით
 ეხვევა ბალახებს.

†

ფანჯარა მიცემერის
 ცრემლებით ნაბანი,
 წვიმისა წევთებით
 ნაკრები ანბანი,
 რა მძიმე ყოფილა,
 რა მძიმე ყოფილა
 შორიდან შორეთში,
 სიკედილის ამბავი.

პარიზი

გალლობიდან

ჩემი აიღნის ხედიდან მზე შავ ღრუბლებში მჩინარებს,
 სხივების ცეკვა-რხევაში ფოთლები ჩუმად შრიალებს.

რა ნისლიანი დილაა, რა უიმედო ფიქრები,
 იმოგზაურებ შორეთში თუ ფიქრად გარდაიქმნები.

ლევილელებო! იღვიძეთ! დილას პყივიან მამლები,
 თავზე გვახურავს თბილი მზე, სიზმრებში ნუ იმალებით!

ლამეში თვალი რად გვინდა, შავში ისვენებს სხეული,
 თვალი მზესა სდევს თავიდან, თვალი სინათლეს ჩვეული.

დილა ყვავილებს გვიგზავნის, ცა ჩვენი სევდით ლურჯ-
 ჩვენი სიცოცხლის მიზანი დროს მიაქვს სიგელგუჯ-
 რებად.

ლევილი 1972

ლოცილი უმოღგომის ლაშაზი

მოხუცთა ბინა,
 მოხუცთა სახლი,
 წერებ ჭაღარა,
 მოდის ზამთარი,
 ქარი ირევა,
 ქარი გიედება
 ფაფარ აყრილი
 ღამის აფთარი.
 ნეტავ ვინ არი!..
 კვნესის სიზმარი
 ცათ აპყრობილი
 ციცი ხელებით,
 სახლზე ქარების
 გადაქანება
 თეთრი ლოგინი
 ცრემლში მძინარი,
 გადადის ღამის
 სიცარიელე:
 იმედი მუნჯი—
 ხმა უჩინარი.

ლევილი 1968

დამზიდარი

ცელქი ქარით გამიქარვე
 ნააღრევი გულის დარღი, —
 დაუკარი, აამღერე
 სიხარულის დამდიდარი.

თუ საშველი არსით არი
 და არ მოჩანს არსაღ დარი, —
 არეინ მითხრას საყვედური,
 არეინ მითხრას სამძიმარი!

ბუნების კარს, დილის ცისკარს
 შეეცოტალა გული მკედარი.
 რა კარგია, რა კარგია,
 არსაღ წვიმა, ყველგან დარი!

მე ოცნებით ვარ მდიდარი,
 განთიაღის შესაღარი,
 ლურჯ სივრცეში ფერთა როკვა,
 ვარსკვლავების დამდიდარი.

პარიზი 1966

ქართველ გოგონას



პარიზ ქალაქშ რომ დადიხარ
წარმოშობით ქართველი,
გულის ვარდო! ვამახარე,
შენი ცქერით გავთბები.

წლები ნუ შეგაშინებს,
თავშე თეთრად დამოვეა,
ოცი წლის ხარ, გულს კე მაინც
შენთან უნდა გართობა.

გაიღიმე და ღიმილმა
გზებზე ვარდი დაღვარა,
შენი ფეხის მტვერი იყოს
ჩემი გულის ჭაღარა

პარიზი. 1967

გასაგებია

გასაგებია მინდვრების
ხავერდოვანი ხალიჩა,
სანამ მზეს გადავირჩენდი
გზა გაუვლელი დამირჩა,

ყოველის მხილველი თვალები
ტკივილებს ურემლით აყრჩებს,
პასუხობს გული მსაჯული
უხილავ სულის საუნჯეს:

ნუ დამამუნჯებ, ლამაზო,
გთავაზობ რაც კი მრგებია, —
ოქრო ქვებიან სიზმრებში
სიქვდილიც გასაგებია.

პარიზი 1968

ზღვაზე

გიმზერ — მიმზერ, მზეში ვზივარო,
 მზის სამსხვერპლო კაცი მქეია,
 ცა გვახურავს ოქროქოლვას,
 ლამაზები მიმოქრიან.

გულს ვიგრილებ, ზღვის ტალღებში
 ვეგებები ზეირთა ღრიალს,
 ლურჯი ზეცა, მზის ზეიში
 და ტალღების რია... რია...

ბიარიცი 72

**

ისევ მაისი
 მოდისა ვარდებად,
 ლურჯ მდინარეში
 მთვარე ვარდება,
 ღამე ღამურას
 ფრთების ფართხალით,
 ციცინათელებს
 ენავარდება.

ბიარიცი 72

ხარობს გაზაფხულის,
სხივთა სიხარული,
როგორც გარდასულის
ახლად დაბადება;
ცვარავს ფოთლებიდან
მწევანე სიყვარული
მზეში სხივ ნარევი,
სითბო გაირინდა.

ახლა დრო განელილი
ღამის ბუხარია,
თეთრი ღამეების
ძილით გადამთბარი,
წევხარ სიცოცხლეში
და გულს უხარია
ღამის გაღვიძება,
დილის განთიადი.

ლევილი 1968

მატარებლიდან.

ისევ და ისევ სიცოცხლეს ვისმენ,
ფოთლები ცეივა მოწყენილ სივრცეს.

გორები—გორებს, მინდვრები—მინდვრებს,
ტრიალებს, ქრება, თეალი თეალს მისდევს.

გზა არ ისვენებს, ცრემლით ისველებს
გადავლილ დროთა საათის ისრებს.

ტარარ. 1966

გათხვების საათია.

გათხნების საათია, ღამეს არ ეძინება,
 დილამ ციხე დაამსხვრია, ცისკარს გაეცინება.

დაგიხიეს შავი კაბა, ქალო! ნუ დაიმორცხევებ,
 შინაგანის გარე ხედვა ელოდება სიცოცხლეს.

სხივმა—სხივი შეარჩია შავზე თეთრის თენებით,
 სიხარულის სიახლეა ახლად გადათენების.

პარიზი 1968

**

შენდება, მშენდება,
 არ გადაშენდება,
 ჩემთვის რა არი—
 ვიქნე არ ვიქნე,
 მასზე ოცნებას
 და მასზე ზრუნვას
 ქვეყნად ვერავინ
 გადამაფიქრებს.

პარიზი 1972

**

ღამე თენდება
 და არც თენდება,
 არ ღამთავრდება
 ლოცვა ეცდრება.
 უკან ჩამოვრჩე?
 ვიტყვი წინა ვარ,
 გზებზე გამძარცოს
 ქარმა ფირალმა,
 თუ გინდ გამცილდეს
 ძვლების ჩხარუნი,
 გულს შენ მოგიტან
 შესაჭირავად.

პარიზი 72


საახალწლო

ბატონ პ. ————— გ.-ს

ხაზს ვუსვამ,
 ცრემლს ვუსვამ
 სიცოცხლეს
 გარდასულს.
 ვუმდერი მომავალს
 და არა დასასრულს.
 ქეთილ სულს
 თუ აე სულს,
 ქურთხევა
 ჩეენ წარსულს.

ვასრულებთ
 განვლილ წელს,
 განვლილ დღეს,
 განვლილ წუთს.
 ამბობენ ჯვარცმული
 შობილა თცდახუთს.
 გილოცავთ
 ახალ წელს,
 ახალ დღეს,
 ახალ წუთს.

პარიზი



პოეტის ლოცვა.

ღმერთო! იწამე სულის სიმწარე —
მზე დაიყვანე ქართლის მიწამდე.

ო... არ გიხილო, მხოლოდ გიმხილო,
გული კი არა, ფერი ვიცვალე.

ფერი ვიცვალე და ფერი მწვავდა,
ფერის ცვალებამ ვინ არ აწამა..?

მე ამა ქვეყნად სიცოცხლის მგოსანს
არ მინდა წარლვნა, მეორედ მოსვლა.

გათენებამდე, გათენებამდე
ღმერთო შეუნდე პოეტის ლოცვას.

პარიზი 1970

რუსთაველის მაისი

ვარდის თვეა, მომცინარე,
გამარჯვების მაისი,
ვარდის თვეა თამარის დღე,
ოცდაექვესი მაისი!

გულო, რად მოგიწყენია,
მოვა, რასაც ელოდი,
სასმისები შეგიესია
შოთას საღლეგრძელოთი.

ყვავილები, ყვავილები
და სიცოცხლის ხალისი,
რვაასი წლის ზემინა
რუსთაველის მაისი.

ლევილი 1966

საქართველოს კომისა

მზის სხივები, მზის თამაში, პოეზიის ოქროგული,
 რეასი წლის სათნო ბალში გადარგული გადმორგული.

მებალეა გზის მზერავი ყოველ მხრიდან, ყოველ ხნიდან
 მეთორმეტე მზის მწვერვალი უკვდავების სხივებს
 ზიდავს.

გზები მოღის ჭირნახული თავთავების ოქრორთველით,
 ცის და მიწის სავარძელში ბრწყინვას შოთა რუსთაველი

არჩილ მეფე, თეიმურაზ, საბასულხან, სიტყვის ბრძენი
 ერთად სხედან, მოილხენენ სტუმრები და მასპინძელნი.

ქეთევანი, მარიამი, ვახტანგ, დავით და ილია, —
 დამე ვნახეთ ბევრჯერ ბნელი, მაგრამ დღე არ დაგ-
 ველია.

ვხედავ ქალაქს, დედა თბილისს, ვხედავ წითელ
 მთაწინდელებს,
 რუსთაველის გუმბათიდან საქართველოს აწინდელებს,
 იდლეგრძელეთ პოეტებო, მტერს დაუთმეთ გორდა
 ხმალი,
 რეასი წლის გვირგვინს იდგამს ბრძენი თამარ დედო-
 ფალის.

საქართველოს ზეიმია, სიხარული..? მაგრამ სულ სხვა,
 მუხას მეხი ვერ წააქცევს, თუ ძირები არ გაუხმა.

პარიზი 1966

რვაასი წლის ჩუსთავილს

გადმოიხედე, მგოსანო, ნუ დააყოვნებ ამ ეამსა!
 მინდა რომ ლექსი მოგიძლენა რეა საუკუნის ვაჟასა!

წლებს შევეხე შებედვით, სიტყვა შეგქადრე მორცხ-
 ვადა,
 მეცე მეფურად შემინდობს, ვთქეი პოეზიის მლოცვამა
 ვთქვი და ამლერდა ზარები, წარველ შორეულს მგზავ-
 რადა,
 რვაასი წელი განვლიე, რვაასჯერ გული დავარდა!

ვიხილე შენი სამშობლო, ვმირთა-ვმირების ტყაოსნით,
 მზეში ჩამჯდარი ქვეყანა, თვალ-მარგალიტით ნამოსი.

დიღება დავით დამხვნელო, აღმამშენ, დაღმის მქაფავო,
 წმიდა გიორგის მსახურო, მეფეთ-მეფეთა მამაო!

უნდა მასწავლო ამბავი დროს შემდევ დროთა დენისა,
 მიწა ოქროთი ნაბანი, მზე სახე თამარ მეფისა!

მოჩანს გელათი, იყალთო, ჯვარის და ცოდნის მცემები
 გონით ანთებულ ტაძრებში პეტრიწი, ათონელები.

თამარის სხივებს ვეხვევი — სხვა მზე ამ ქვეყნად არ
 მჯერა!

შოთას შირებს ვემოხვევი რვასი წლისა გამრჯელად!

ხალხმა შექრიბა-შემოსა ის სიბრძნე, სიტყვა, ის ლექსი
 ეით ძვლები ღმერთის მსახურმა დავით და კონსტანტი-
 ნესი,

სიბრძნის და სიტყვის ოსტატი, თვალ-მარგალიტი ქრე
 ბული,
 ტრაფობის და გმირთა მეოსანი, მიჯნური თავდალებული.

რომელმან შექმნა დიდება, ფერად ხატება თქმებისა,
 ცოორილებსაც კი ცილდება სამყარო რუსთაველისა.

წმიდას და სახე უცოდველს, შორიდან შორით უცოდელი
 იქნებ თან წაგყვა უცხოეთს ლოცვა იაკობ წუცესის!

რომ აგებატა წამებულს მონღოლთა ღამე ღადრული
 და ვეცხის ტყავზე გეწერა სიტყვა სხივ ამოქარგული.

ბევრი ჩამ დარჩა სადაც ხმალ და ხმალ გმირთა გმირე-
 რების,
 მსოფლიო სიბრძნის სარდალო, მჯერა კულავ მოგვივ-
 ლინები!

ავთანდილ ქაჯებს დარაჯობს, ფრიდონ თვალთვალობს
 ამიერს,
 ნესტანი უცდის ციხეში რვა საუკუნის ტარიელს.

პარიზი 1966

კითხვები ჭვარის მონასტერზე

თუ იქ იყავ..! ეისთან იყავ,
სამყოფელი იქ რა იყო,
სამშობლოდან შენი გული
ორ ნაწილად რად გაიყო!
იყავ ბერი უბედური,
იქნებ იყავ ბედის წერა,
გზა განვლილი, უბრუნველი,
ქრისტეს ჯვარით ღმერთის ჩრდენა.
მონლოლების ქავთა ციხე,
თამარ მეფის ტარიელი,
მოგონების წელთა წყობა,
განწირულთა სახელები.
იქნებ იგრძენ უკურნები
სიყვარული მზის სამზერად,
—სადაურსა სად წაიყვან —
ამბობს შენი ბედის წერა.

პარიზი 1966

ხეა განკითხვისა

შთენილ საფლავებს
 მოედება ჰუპუი
 და ხავსი,
 გაიცეითება
 წელთა სრბოლვა
 ასი ათასი,
 დაიკარგება
 დაკარგული
 ნეშტი და მტვერი,
 დაიშრიტება
 უშედეგოდ
 დაღვრილი ცრემლი.
 ყოველის სუნთქვა
 ყოველი თქმა
 წავა, გახმება,
 მხოლოდ დარჩება
 საფლავიდან ამოძაბება:
 აქ ახსნა არი
 ჩეენი ყოფნის,
 ჩეენი არ ყოფნის,
 შავი ტაძარი
 ნაშენები
 ამ წუთისოფლის,
 აქ სიმშეიდეა

დროთა და სულთა,
 აქ მომავალი
 ისადგურებს
 უნმით წარსულთან.
 ქვეით ქვეყანავ,
 ზევით ზეცავ,
 ღმერთო უფალო,
 ისმინე ლოცვა ჩვენი
 მიწავ ქართველისა
 გულმართალო
 ჭირისუფალო!
 შეინდე ფიქრი
 გადახიზნულ
 განწირულ შეილთა,
 არ გვეონდა ნება
 მანდ გვეცხოვრა,
 რადგან გვიყვარდი,
 ღმერთო შესცოდე
 სიყვარულისთვის
 ვინც დაგვიძენო
 სიცოცხლის ვარდი.

ლევილი 1971

ო ი რა ცუდად

ოი, რა ცუდად წარეიღნენ წლები,
 თან გადიყოლეს პრეზიდენტები,
 ახლოს ვუცემერი გადასულ დღეებს,
 მაგრამ სიცოცხლეს არ ვემეტები.

მეფე შობილი მზიურ დედიდან,
 პოეტურ ტახტის ბაგრატიონი,
 ჩაქლული სულის განსაცდელიდან
 გარდაიცვალა გალაქტიონი,

ორპირა ქვეყნის ორპირა თოფი,
 ტყეიის ლალატით მოქლეს მგოსანი,
 თბილისის კარზე დარაჯად მდგარი,
 ახალი წარლენის ორლენოსანი.

ოი, რა ცუდად წარეიღნენ წლები,
 როგორ გაიხსნა გულზე ჭრილობა!
 მზეს რომ შეაჭრეს მზის ნაწნაები,
 ლრუბლებს ეგონათ დიდი გმირობა!

შიცქერს წუთები წუთისოფლიდან
 და სამლოცველო სვეტიცხოველის;
 დრო რომ წავიდა, პირველ წამიდან
 დაბადებასთან განუყოფელი.

პარიზი 1968

პოეტის ფიცი

უფიცავ ლოდზე ნაგრეხ სუროს,
 ლევილის მზეს თვალ ცრემლიანს,
 სადაც ჯერები გარდასულთა
 ცოცხლებივით გვიცერიან.

უფიცავ კალამს, ლექსის სტრიქონს,
 მოხუცებულ გულის ძერას,
 სააქაოს, საიქაოს,
 წარმოშობის ბედის წერას,

უფსერულებში ჩაძირულ ხმას,
 გრიგოლებში ზღვათა ლელვას,
 ჩამონგრეულ საყდრის ჯვართან
 ღვთისმშობლის წილ ქართველ დედას.

რუსთაველის ოქრო-კალამს,
 ქართულ ენის გვირვეინოსნებს,
 დაუნდობელ უცხო ძალით
 ორდენებით დასჯილ მგოსნებს.

ვფიცავ დროშას სამჯერ კოცნით,
 საქართველოს დიდების დღეს,
 სამთა ფერის ცაში ფრიალს,
 ოცდაექვსის მაისის მზეს.

პრეზიდენტის მოხუც სახეს,
 დამარცხებულ ქართლოსის ჯარს,
 ყელ გამოჭრილ პატრიარქებს,
 ქათალიკოს ამბროსის ჯვარს.

ვფიცავ, ვფიცავ
 აქაც, — იქაც,
 სულის გარე, სულის ძირას,
 საფლავშიდაც, რომ დავიცავ
 წამებულთა ქართულ მიწას.

ლევილი

ტიციან ტაბიძის ხსოვნას

(მკვლელობიდან ოცდაათი წლისთავზე)

აი, ის ქარი შენ რომ გახმობდა,
გაუხარებელ მიხაյის ფერო!
იყო სუფრაზე უცხო იუდა.
მან ტყვიით გითხრა შენ საღლეგრძელო!

ან ის ყვავილი ნეტავ სად არი?
რომ დაღიოდი შენ მის ამარა;
მოგქლეს პოეტი და იმ ყვავილმაც
იქნებ შენ გვერდით დაისამარა!

იქნებ შაირის გესმის შრიალი,
მზე ატრიალებს მარცვლების წისქვილს;
იქნებ პაექტობ პოეზიაზე
შოთას გამზირზე გაზრდილი ფიქრით!

შემოგესისხლა ქამთა წამება,
მკვლელობის ტალღამ წაგილო ძალით, —
ისიც არ ვიცით ჩვენ ბედშავებმა,
რომელმა მიწამ გიმარხა ქრძალვით.

შენ და ყვავილი — შენ და ყვავილი,
პოეზიის და სიცოცხლის ვაზი,
მზის სიყვარულით ამოყვანილი,
ყვავილი გლოვობს, ყვავილი ნაზი:

— სჯობს ილარ გვქონდეს სულაც სამშობლო
ან და არ იყოს ასე ლამაზი —.

პარიზი 1967

მსმინს

რა მძიმე არი დრო დასასრულში,
 გვევსება გუგა ცრემლის სისველით,
 პოეტებს გული ერთი აქვთ ქვეყნად, —
 იყვე ტიციან, თუ გინდ ესენინ.

ვინ ჩაგიქეტა ღამის კარები,
 ვინ მოგცა ხელში ნალესი დანა?
 თუ გყავდა ვინმე სულთან მხლებელი
 ამ ქვეყნიური სიცოცხლის მგზავრად?

ისევ კითხვათა გადამწერივება,
 ლექსი მეგობარს სისხლით ნაწერი,
 სიყვარული და თავისუფლება
 შენი გულიდან ამონაცრემლი.

კალმით სწურავდი გადაჭრილ მაჯას
 და ფართხალებდა ლექსის ძარღვები,
 შენ ბავშვურ ფიქრებს, შენ ბავშვურ ტანჯვას
 არავინ ჰყავდა ქვეყნად გამგები.

უნდა სიცოცხლე ასჯერ გასწირო
 ან და მსახური იყო ჯალათის,
 რომლის გარეშე სხვა არ არი,
 თუ გინდ ჩაიცვა გლოვის ხალათი.

მილიონებში გართ სიმარტოვე,
 დრო გადაპყურებს უსაზღვრო სივრცეს,
 სისხლით დაწერილ სიტყვებს ვინ სტოვებს
 თუ არ პოეტი — იქსო ქრისტე!

პარიზი 1972

ლია გარათი ანა ქალადაძე

მოგესალმები უცხოეთიდან,
ძვირფასო ანა, ძვირფასო ანა,
მზემ სიყმაწვილე ქარში დალია,
ქარმა ტკივილი ჩვენ არ გვაკმარა.
მარცვლის მოესავო, თუ ვერ იხილო
შენი ნათესი ნამრავლი ასაღ,
ძირებს ნუ დაზრავ ნაზი ხელებით
ამ ქვეყნიური სიცოცხლის ფასაღ.
რა შუაშია —

დნეპრი და ვოლგა!
სულს უფროსობდნენ უფროსი ძმები,
ლხინად გვიჩდიდნენ საკუთარ გლოვას,
რომ დაგვავიწყონ სისხლი ნაცრემლი.
შენ, დედოფლების მიწაზე გაზრდილს,
დიდ ქეთევანის გხიბლავს სინაზე,
შეურაცხოფილ სიცოცხლის მანდილს
ვერ იტანს ქალი და სილამაზე.
კალამი როცა შაირით იბრძვის,
მჯერა: შაირი არ დაუანგდება,
სიმართლე არის მშობელი სიბრძნის
და პოეზიის ოლაჟვარდება.
ფიქრები შენი მზე სავარდისო
ამარგალიტე ძვირფასო ანა,
შეილებს გვიცოცხლოს სამარადისოდ
დედათ შობილი ჩვენი ქვეყანა.

პარიზი

გარატი ვისტორ ნოზაპის

(ლევილიძან ციურიხში)

ლოვილში ეწუხარ უშენობას, ეეღარ გნახულობ
 რუსთაველის და მისი ენის დიდო მსახურო!
 გუშინ ვიხილე მე ქართული ძმათა საფლავი,
 შენი სამარხი გამძლეობის თაგშესაფარი,
 და მომავინდა იმედები ყმაწვილ კაცობის,
 ყოველი წუთი, გზა განვლილი ჩეენი გაცნობის,
 კავკასიონი, საქართველო ბრძოლა რამდენი..!
 წელთა მსვლელობა ირმებივით გადმონადენი.
 ამბობენ ასე: ეს ქვეყანა ბედის ბეწვია,
 ბეწვიც კარგია თუ კი დროზე წამოგვეწია!
 ულმობელია ეს ქვეყანა, ქრელი, უვულო,
 არ მოჩანს დილა განთიადი რომ დავიბრუნოთ.
 თუ ვერ ვიხილავთ მზის ამოსელას თეთრი მერცხლები,
 ჩეენ მაინც ვითრენთ იმედების გაორკეცებით.
 ასეთი არი ჩეენი ბრძოლის ფილოსოფია:
 ქართული ფიქრით ვეჭეთქებით წლეებს ცოფიანს,
 გავალთ ქვეყნიდან, მოვიპოვებთ ბინას კარგებთან,
 მკლიან გზაზე ერთი ცრემლიც არ იკარგება.

ორი პოემი.

ცა წამებულთა სულის სანათი,
 მზე სისხლიანი წეიმების კეირა,
 გზაჯვარადინზე ქრისტეს ხალათი,
 საფლავები და სიჩუმის ყინვა.

შავი მერანი—ბედი ქართლისა,
 მე და ღამე—და ლურჯა ცხენები,
 არ გათენება დიდი ღამისა
 ცალ აპყრობილი ცივი ხელები.

მეფეთა ჩეენთა განვიდნენ დრონი,
 სხვა დრო დაგვიდგა და სხვა ნათება;
 თებერვლის ღამე, დაჭრილი მთვარე
 და სისხლიანი ამონათება!

ხელშექრულია — ხელშექრულება,
 ფერთა ცვალება წითელი—თეთრი
 წარსულის ისევ შემობრუნება,
 ეკატერინე და საბჭოეთი.

სულის წამება იშ კი გვეყოფა
 დაჯვარედინდა ქამთა სტრიქონი;
 ორი პოეტი—ორი ეპოქა
 ნიკოლოზი და გალაკტიონი.

პარიზი 1972

చ ० ३ ० .

(ఎఫ్ సాలాప్ మక్కల్యేల్మాద్ సాగుస్తేతమా శేస్ప్రోల్మా.)

ట్యుంబిస్ గుల్లిస్ ట్యువ్వొ, శిశి సాప్యరామిల్ల్య,
 డాల్మి గుల్లిస్ అట్యుంబిస్, గుంస్ వ్వేర్ అట్యుంబింగ్బ.

డాగ్గెఫ్ఫెబ్బ్ర్ క్రిడ్యే, క్రిడ్యుస్ క్రిడిస్—క్రిడ్యే
 డా గార్బింబార్ శొర్రిత, ట్యుంబిస్ మంమల్లింగ్.

సాశిశీలి చ్చుతి, చ్చుతి సిస్కలిస్ మల్గుర్రేల్మి,
 సింబర్దిన్ సాగుస్తేతమి, గార్జెత క్రెలిస్ తుల్యేల్మి,

బర్రున్బాగ్ డల్మె డా డామిస్ ట్రిజ్ఫ్రితా అట్యేతిఫ్ఫెబ్బా,
 డిల్లిస్ మంమల్లింగ్బింబి లామ్రె అర్ టెన్డ్రెబ్బా.

డర్నిస్ అట్యుంబిస్ శిశి, శిశి క్రిడ్యే శిశి
 డా క్రెంబి శ్వేహాస్: రాత్రిమి చ్చార్లిమ్మ్రోపిశ్వో?..

పారిశిలి 1969.

პატიმარი პოეტი.

წერდა, წერდა
და ეინებით;
წერდა, წერდა
ვერ ასწრებდა
საგიეეთის ფანჯრებისკენ
ალამალლა წითელ ფერმა.

ვინ იყითხა მას რა სურდა!..
აქ დასრულდა შემომქმედი,
საწამებლად გადასულა
პოეზიის ქრისტე ღმერთი.
ასეთია მძიმე წვედრი
პატიმარი პოეტების!
პიყასოსაც ჩააფიქრებს
ფრთებ დაჭრილი მისი მტრედი.

პარიზი 1968.

გაზაფხულის მკვლელობა.

იან პალაშის ხსოვნას.

მზე გაზაფხული ერთია ქვეყნად.
 ეინ გაუბრედა სისხლით ვაჭრობა!
 მიწას ეკუთვნის ბუნების ძალა,
 სიკვდილი არის მისი დაჭრობა,

ნაეთანთებული იწვის პალაში,
 საგაზაფხულო ფერების წრეში,
 თავისუფლების ზეარავი ბავშვი,
 ვით უცოდველი ცხოვრების ეში.

ობოლ ნუქრივით ღამეთეულო,
 შვილმა იხილე მკვლელობა შეელის,
 ქვეყნის ცოდვებით ცეცხლანთებულო
 ფერფლიც წმიდანად ალინიშნები.

ძრწოდე მსოფლიო! შიშით ლაჩარო!
 ენა მოჭრილო, ღონე მალულო,
 ატომის ქრექში ქვეყნის ყაჩალო,
 ელექტროობით გამოგვალულო.

მზე შელებილა ვარდების სისხლით,
 ტანკების ხნული,—სიკვდილის თესლი,
 საგაზაფხულო სამი მკვლელობა:
 პრაგა, თბილისი და ბუდაპეშტი.

პარიზი 1969.

საქართველოს ახალგაზრდობას

(1973—28—5)

მაისი იმარჯვებს,
 ბაეშეთა განთიაღი
 წითელ სამოსელში
 იარაღს იმარჯვებს.
 იმ მარჯვენს გაუმარჯოს
 ვინც ძეგლი ააფეთქა—
 ძეგლი სამარცვეინო
 მაისის წლის თავზე.
 მაისი თამარის
 მაისი რუსთაველის
 მაისი მამულის
 დედა და დიდება.
 დრო მიღის—დრო მოღის
 თვეისუფლება
 თვით ხალხის ნათესი
 მზეს ისხამს იზრდება.
 წითელო აკვებო იზარდეთ,
 თამარის, ილიას
 და ნოეს მიწაზე.
 სიტრითხილე
 სიტრითხილე შვილებო!
 სიცოცხლე
 სათუთად ინახეთ,
 თქვენა ხართ
 სამშობლოს დიდება
 თქვენა ხართ მომავლის სიახლე.

პარიზი 1973.

ლექსი ლერწამი.

გადამარხიე,
 გადმომარხიე,
 იმძაფოე ქარო,
 დამკაშრე ქარო.
 ისევ ვიმღერი
 ისევ ფეხზე ვარ,
 საითაც უნდა
 გადამაქანო!
 დაწყნარდი ქარო,
 ქარო—ავქარო,
 მეხის გრუსუნო
 წყლის ნიაღვარო,
 ამოვა გული
 სალამურიდან,
 სიტყვის თითებით
 ხმებს აამღერებს,
 მზეს შეაზომებს
 გრძნობათა ღერებს,
 ქარში მღელვარეს,
 ღამით ამოსულს,
 დილის სივრცეში
 გადანამღერებს.
 არც დილის მზე ვარ,
 არც განთიადი,
 არც ცრემლები ვარ,
 ლოდზე რომ ქვაობს,
 მომავალს ვუმღერ
 და მზეს ვუცინი
 საითაც უნდა გადამაქანო.

პარიზი 1968

პოეტის პასუხი.

ნუ გშურს ჩემი, მხიბლავს შენი,
პოეზია, კოშკი არის სიყვარულზე ანაშენი.
მასში არის შეხიზნული
სიტყვა, აზრი, ქვეყნის თვალი,
ციფი კალმით მონივთული
გულის ფეთქვა, გულსაკლავი.
პოეტების საოცნებოს,
პოეზიას მრავალ გზიანს,
უამთა დენის ხეეულებში,
სიტყვის სიბრძნით თავაზიანს;
კვლავ უმღეროთ, მეგობარო,
ლურჯ შენობას ოქროქვიანს,
გადაფრენილ მზის არწივებს
სიყვარულით ღვთიურ გზიანს.
ჩვენც შევრიგდეთ ამა ქვეყნად
პოეზიის თანამყოფნი,
ერთი გვქონდეს სამლოცველო
არაოდეს განაყოფი.
ნუ გშურს ჩემი, მხიბლავს შენი
პოეზია, კოშკი არის სიყვარულზე ანაშენი.

პარიზი.

პოეტი და პოზიტო.

საგამზრდელოს გამოშრდილი,
 დედის ზრუნვით ნაცრემლი,
 გულის გუთნით გადახნული
 საზრდო ლექსის მარცვლები.

ყვავილს უვლი, მზეს უმღერი,
 ღმერთთან მუხლზე ვეცემი,
 პოეზიის სამლოცველოს
 ვერ ედრება ვერც ერთი.

პარიზი 1967

მრთი ლექსი.

ერთხელ მეწვია ეს ერთი ლექსი,
 ქალმის კანკალი შავში დაალბო,
 მისი სიმღერა დღესაც კი მესმის,
 სიმები სიტყვის სვეტად აავო.

ბევრი ეცადა ვერ დაასრულა,
 შრომამ შრომაზე აწყო დღეები,
 მას უფრო კარგი შენობა სურდა
 ტკბილ საკრავებად ანამღერები.

ერთხელ მეწვია ეს ერთი ლექსი
 ბედნიერება გულს ვერ არგუნა,
 უცხო მიწაში ჩაღვარა თესლი
 და უნაყოფოდ განისაღვურა.

პარიზი 1969

ఎవరెస్ సిపటియ.

గార్గో ల్విన్,
 గామబేదావ్రి త్వాల్చఢ చిత్తేల్చా,
 థాశి ప్రిమ్పిమ్పేబ్స
 భేగపంచ్చేబ్స సిప్రాప్రెస్లోస అసి,
 స్తులొం చ్ఛిందాా,
 పిర్చాపెంచ్చి డా గులమార్చాల్చి
 ల్విన్సిస స్తుర్చెలొం
 థంబించ్చుల్చి థంచొంచ్చి కాప్రి.

జారించి 1967

ఏటిశుల్చించా.

ఒప్పి శేన ఫాల్చ,
 శేని భేష్టేడి
 న్యేరొ శ్చేప్రశుల్చి
 ఇమ్మెడ్చెబొం ఐప్పి నామ్మెడి,
 గుల్మిం అి ఒప్పిస
 సిప్పుగార్చుల్చి ఎసింతాసి,
 మిప్పుగార్చి మ్చె సిభర్చెన్జె ఖించిస—
 శ్చేమించ్చెత తాసి.

జారించి 1968

კაცი თუ სამართალი.

კაცი ქმნის სამართალს,
 ასამართლებს კაცს.
 კაცი ზის ციხეში.
 სამართალი
 ამართლებს სასამართლოს,
 არავინ არ დავობს,
 ხეებზე თავთავობს
 გამხმარი თავები,
 ვინ გამოარკვევს
 ვინ არის მართალი
 კაცი თუ სამართალი?

პარიზი 1966.

ჩვენი წარსულის ცრემლი ანათება.

მოხეტიალე ბიჭი ვიყავი,
 მოხეტიალე გზები ვიარე,
 ბევრი ვიარე, ცოტა ვიარე,
 გზებზე ხალისი ვერსად ვიამე.

და როცა უკუ დაებრუნდი ერთ დროს,
 სამაღლობელი სიმწუხრე მერგო:
 მოველ აჩრდილი მე უჩინარი
 რას ფიქრობ მტკვარო! რას მეტყვი თერგო!..

არაგვო ბრძოლის სამაღლობელო,
 აბობოქერებავ ლეონიძისა,
 შემდეგ სიწყნარის ნაზო გამზრდელო,
 ერთგულო შენი შავი მიწისა!

ილიას ცრემლით თერგდალეულო,
 მტკვარო ფიქრების ფიქრთა მართველო!
 არაგვის ხიდზე არაგველებო,
 ბარათაშვილო და საქართველო!

ვინ იცის ამ დროს იტყვის ტალღა და
 ხმები ბორკილებს ამოალაგებს!
 ედგევარ მტკვრის პირას და წყლის წვეთებში
 ჩენი წარსულის ცრემლი ანათებს.

პარიზი. 1969

მეო მინდა ვთქვა

ეთიმ გურჯო, სიყვარულის საუნჯევ!
 მომეც ძალა, სიტყვით ნუ დამამუნჯებ!
 ნულარ იტყვი: უსახლეაროდ ივლისო!
 მეც მინდა ვთქვა, ჩემო ქალაქ თბილისო:
 „დაკარგული შენი შვილი მოვედი“.

ავად მნახო, შენი ხილვით მოვრჩები,
 საიათნოების და ბესიების დროშები,
 გზა გასსნილი, გული კვლავ სამაისო,—
 მეც მინდა ვთქვა ჩემო ქალაქ თბილისო!
 „დაკარგული შენი შვილი მოვედი“.

ეთიმ გურჯო აამღერე ჰანგები,
 ჩენი სევდის საფუძვლებზე ნაგები!
 დრო მიღის და დრო გველივით თილისმობს,
 მეც მინდა ვთქვა ჩემო ქალაქ თბილისო!
 „დაკარგული შენი შვილი მოვედი.“

განთიადის მზე—ცისქარი გამიღე,—
 ჩუმად მოვალ ამასაც კი არ გაეიღებ.
 ნულარ იტყვით: უსახლეაროდ ივლისო!
 მეც მინდა ვთქვა ჩემო ქალაქ თბილისო:
 „დაკარგული შენი შვილი მოვედი.“

პარიზი 1968

პოეტი და პრიზისმისი.

კრიტიკოსშია დაიწუნა ლექსი,
 მას ასე ესმის,
 მე კი ვიტყოდი:
 როცა არა გაქვთ განცდა და რწმენა,
 ნუ შეაწუხებთ პოეტს და მწერალს.

დარვინიზმიდან.

მაიმუნიდან წარმოიშვა აღამიანი,
 აღამიანიდან რა გაკეთდება?
 რამდენი სისხლი აცდებოდა კაცობრიობას
 კაცს რომ შეეძლოს მაიმუნად გადაკეთება?

შიშის შედეგი

პოეტსა პკითხეს რას ჩადიოდი,
 როცა ჯალათი პკლავდა მამაშენს?
 —მე ვწვავდი ლამით დაწერილ ლექსებს
 რომ დღე მენახა სისხლის გარეშე.

მთლიანი თაჯუშებები.

ლექსის წერამ გამწირა, გულს ეხვევა გველები,
 გველის გესლი რას მიზამს, გულო კერ შეგეღევი!

გსურს აცდე სიმარტოეს ქვეყნად არვინ გევალოს?
 ძვალზე ხორცი დატოვე კაცის სამეგობარო!

უცხოელი არ მიყეარს, მხიბლავს უცხო თვალებით,
 ერთი აზრის ვყოფილვართ როგორ შეგედავები!

დილას მზე უნახია, ღრუბლებისთვის ახეა,
 რაღგან ღამის ძონძებში მზის სხივები მარხია.

სალამური არ კმარა, არც სიტყვების ბარაქა,
 ვერ გიმლერებს სიმლერებს თუ თითები არა გაქვს.

— მიწავ რატომ მიშვილე? დედას რად გეძახიან?
 — სამშობლო და სიმშვილე, შეილო, ჩეენი სახლია.

პარიზი 1969

წითელ ჩოხისან გულგამძიანება

მზე დაიბრუნეს შავ-შავ მერცხლებმა,
მიწა დაიყო მწვანე უბნებად,
დილამ დაიშყო სიცოცხლის თესვა
და ყვავილების ხმა მეუბნება:

აანთე ლექსით გულის ბუხარი,
აღვივე ცრემლით ჩამქრალი კერა,
დახიე კალმით სიტყვა მწუხარი,
აზრით ამზევე ქვეყნის სიმღერა.

მომლიმარეა ყოველი დილა,
როგორც ყვავილის გუგა გაშლილი,
რად გინდა ცრემლი, რად გინდა ყინვა,
რად გინდა სევდა ბარათაშეილის!

წამოეზარდა ლექვები ლომს და
კლდეთა მქლავები მზეში ტრიალებს, —
სიჩუმით მოაქვთ თამარის დროშა
წითელ ჩოხისან გულმკერდიანებს.

პარიზი 1966

ლევან ჭურაბიშვილს

ეხედაც როგორ გაფიტრებს ფამთა ციკი ზეწარი,
 თმებზე თეთრი გაფიფქეს, ზაფხულს ვერ გაეცანი.

თბილი არის ქალაქი, გული ნათბილისარი
 გზებზე ნასახლარები, უცხო ნათილისმარი.

ლამე ფერ უცნაური, განთიადი თავდალმა,
 დილის დაპირებები უმზეობამ ღანიალმა.

დაერჩით ქვეყნის გადალმა საქართველოს მსახურნი
 და შევსცერით მსოფლიოს მისგან გულ-გალახულნი.

ლმერთმა უხვად გარგუნა: გული, გრძნობა, გონება,
 დიდ მამების საქმეთა ქვეყნად განმეორება.

პარიზი 1967

მიკვეთი

თეოტ ფრთხებიანი მთები იძირებიან შავში,
 მგზავრი შევერცხლილ თმებით დაიკარგება გზაში.

ხეები დგანან ცივად, რტოებ მოხატულ ცარცით,
 მოდის ყინვების ჯარი, მიუქერის თოვლის კაცი.

ფეხბედნიერი მეკვლე ვერ შემოუცლის ჩემ სახლს,
 ფიფქთა ფრიალი ფრენა შავზე სინათლეს თესავს,—

მე მიყვარს შორით ხედვა როცა ფანჯარას ყინავს,—
 თვალებს სიბერე ბნედავს, გულში ბავშვობას ძინავს.

ფეხ ბედნიერი მეკვლე ვერ შემოუცლის ჩემს სახლს,
 ქარი აუშვებს ლეკვებს, შავი ედება მთვარეს.

შვილი ვერ მეტყვის მამას, ვეღარ ვაკოცებ მამებს,—
 ვისმენ ზარების რეკვას, ვლოცავ გაყინულ გვამებს.

პარიზი 1966.

დ ი ლ ა ს.

დილა მიცემრის საწყალი, ქარიშხალითა ნაცემი,
 სიცოცხლით შესაბრალისი, სისხლის წევთებით ნაცრემ-
 ლი.

დილავ! სად იყავ მითხარი, განვლე გვირაბი ღამისა,
 გამოუცნობი ნიღაბი, სახე ჭაღარა მამისა!

მე ვიცი შენი სახელი, — მზე გადასული დილამდე, —
 არ გაგეურება იმედი თუნდ ქარიშხალი გყინავდეს.

მაგრამ რა ნახე მითხარი, ცალთვალივ, ღამით მავალო!
 სიშავისა და სითეთრის ხილევ თავგადასავალო!

წუხელ წუხილით გეძინა, გეხურა მზისა საბანი,
 შემლეგ შავებმა წაგილეს, მთეარემ გიმლერა ზლაპარი.

ჯიქურ შეგება ავქარით, ქაჯეთის მეფე მეფურად,
 ისე გაუწყდა ლაშქარი, — ერთიც არ დაბრუნებულა.

გეტუობა: ბევრი გიმრძვია, ქაჯების ჯაჭვით ნაცემსა,
 შენს მკერდზე სისხლი ულვრიათ, მკერდ დაჭრილ დე-
 ლინაცელებსა.

დრო დაიურვე ვონებით,— ცისკარი ცამდე ლურჯდება,
 ნაძების ლეგიონებით მთები ღამდგარან ბურჯებად.

ღრეობაშია აღლუმი, ბალები სუფრებს მართავენ.
 ცვავილთა აურ-ზაური ეხვევა პურის თავთავებს.

განთიადიც კი განათებს გიკერავს ცვარ-ნამ კაბასა,
 მზე ქვეყნის მთავარსარდალი გიგზავნის სხივთა სალამისა.

პარიზი 1966.

ტუპულისძმენ

სოჩხეთურა ვაშლი მიყვარს ,
 ნაქარელას ველიეთი,
 მწერვალებზე მწვანით მხიბლავს
 სილამაზე იმერეთის.

შეაბოლებს ტყიბულისკენ
 ხრესილიდან შავი ხრეში,
 ორთქლმავალის შეკივლება,
 ორთქმავალის შენახენეში.

აგურების სადგურები
 გვეძახიან ოქრო პირით,
 მოდით მგზავრნო მოილხინეთ,
 იმერეთის ტკბილი ხილით.

გოგონები, ბიჭუნები,
 კალათები ატმით საესე,
 გულს და ცქერას ერთად იპყრობს
 ნატურ-მორტის სილამაზე.

წაბლი, თხილი, ნიგვზის გახრა,
 ასაწონი მზის სასწორი,
 მატარებლის ფანჯრებს გაჰყვა
 აკიდული აკიდონი.

აღმართები, ჩაღმართები,
 საწირე და საწირეველი,
 სიზმარშიდაც სანეტარო,
 ძველია თუ აწინდელი.

პარიზი 1966.

გაზაფხულის ლოცვა.

დილა მზეში ჩადგა
 მწეანე თვალთა ბრუნვით,
 გაციებულ მიწის
 ფერთა გარემოცვა,
 თესლი დაითესა
 ქვეყნის სიყდარულის,
 მიწა მწეანე რხევით
 ცისქენ აიბორცვა.
 ცა კი შავ-შავ ბელტებს
 სხივთა ფერით ფოცხავს,
 დილა მზის გამავი
 სიოს არხევს მორცხეად.
 სითბოს შემოუსხდნენ
 ცივი ფრინველები,
 გულში სხივებს ანთებს
 ყვავილების ყნოსვა,
 როგორც წმიდანები
 ცის და დედამიწის,
 როგორც ყინვის ქობში
 გაზაფხულის ლოცვა.

პარიზი 1970

თავდაჯირა.

გაზაფხული მეუბნება,
 ყვავილებით მეუბნება:
 ცივი ფერის სამოსელში
 ზამთარი რად მემუქრება!
 რად მაშინებს შემოღვომა,
 გულზე ყინვა შემოღვება,
 დაცუმული ვერ გამიგებს.
 ზეცა მიწას გაეგება,
 მიწა ზეცას დაამიწებს,
 ყოველივე ასე კვდება..!
 უამთა დენავ რა კარგი ხარ,—
 მზე, ზამთარი, დილა, ყინვა
 იტრიალე კიდევ დიდ ხანს,
 იტრიალე თავდაყირა.

პარიზი 1970

თვალი

თვალი სილამაზე,
 თვალი გაელვება,
 თვალი გაბზარული,
 ქვეყნის მღელვარება!
 თვალი მოგონება,
 თვალი მაშინდელი,
 თვალი ძვლების თავი,
 თვალი საშინელი,
 თვალით ცა ხილული,
 თვალით გადაიწვა,
 თვალში ჩაძირულა
 თვალი დედამიწა.
 თვალი ხილვა-აზრი,
 თვალი ია-ვარდი,
 ქვეყნის სილამაზით
 თვალო შემიყვარდი.
 თვალი გონის ფუძე
 გულმა დაიმუნჯა.
 გულმა ვერ გაუძლო,
 თვალი დაიხუჭა.

პარიზი

ობობას ბეჭი

დაეობდა, დაეობდა ობობა,
 დაობლდა და მაინც ომობდა,
 ხაზავდა, ლამაზად ხაზავდა,
 ქსოვა და ქსოვილი გაზარდა.

გაზარდა და გლოვით გაზარდა,
 ქსოვილმა მქსოველი დაიპყრო,
 სიკვდილი დაეცა თავზარდა.

რა იყო,
 რა იყო,
 რა იყო,

ნისლებმა დაიპყრო ობობა;
 დაიპყრო და ორად გაიყო,
 ისმინეთ ლამაზი ზღაპარი, —
 ოცნება სიზმრებმა წაილო.

პარიზი

სიზმარში

დაისცენე ვარდ-ბალებში,
 ეხავერდე ყვავილს გულო!
 გამეცალე, გამეცალე
 სიყვარულის სიძულვილო!

მოდი წვიმავ, მტკერი გამბან,
 გამატიტვლე, როგორც ბავშვი;
 გამაგორე, გამიხვიე
 მწვანე მიწის მზის საბანში.

ცისარტყელა ფერებს იცვლის,
 მზე პირს იძანს წვიმის ტაშით,
 მოდი ღამეე! მომეფერე,
 შენც კარგი ხარ ჩემ სიზმარში.

პარიზი

დაზამთრება

შემოდის ქოჩში დამჭენარი სახე,
 მოხუცებული მწიფე მტევნებით,
 ხის ნამტვრევები ცეცხლს უგებს მახეს,
 თბება სიცივის თეთრი მტრედები.

ფერი იცვალა მწვანე ჯეჯილმა,
 დაბრმავებულა სინათლის ხედვა;
 ყინების ხანჯალი მზეს დაებრჯინა,
 სხივები ნისლში აოქრომტვერდა.

მთებზე გადმოდგნენ მოხუცებულნი,
 თეთრი წევრები სოფლებს აფინეს,
 როგორც ფოთლები გაყვითლებული,
 მორცხები მერცხლები შორით გაფრინდნენ.

პარიზი 1966

უმოღგოგის სილამაზე

ლურჯი ზეცის სილამაზე,
ყვითელ მიწის სარძლო ქალი,
შერუჯული მინდორ-ველი
მზის სხივების ნაძოვარი.

მთიღან მნათობს ქერაქარვა
მჟენარ ფოთლების ცივი ქარი,
მრავალ ფერთა გაყვითლება,
და მოხუცის ნატერფალი.

სამკალია სამკაული,
თავთავების ფერთა თვლემა,
სილამაზის ოქრომკერდზე
მზის სხივების დიადემა.

ტარარა 1966

მინდვრის პავაზი

მუხას არხევს ციცი ქარი,
 ჩანგრევია ბეღელს თეძო,
 ღმერთო, როგორ ლამაზია
 ეს პატარა ჩემი ეზო.

ყვავილები ილიმება,
 ათამაშებს ქარი ნეშოს,
 ლურჯი სარკის მზის სხივებში
 განთიადი პირფარეშობს.

ფრინაეს თეთრი ბარათები,
 გული ხარობს: არ მეგონა,
 იმედებით ღამ ნათევი
 გადომდეგარა მწვანე გორა.

არ მეგონა, არ მეგონა
 სიხარული ქარიშხალში, —
 ვარ სიზმარი არა გლოვა
 ფეხშიშველა მინდვრის ბავშვი.

პარიზი 1967

იგი ჩემგან შორს არის,
სიყვარულის სწორია,
ჩემი სულის სიმშეიდე
თითქოს მასში ჩამჯდარა
და დღეები ჩეარ-ჩეარა
ჩანჩქერები მგონია.

მდინარეა ბალახი
მოჩვენებით სანახი,
კით ვარდნილი ვარდია,
ხან ორლობის ტალახი.

გარიერაჟის ცისკარში
ოქროკარის გალება,
მზე და მთევარის თამაშით
წელთა გადალალება.

პარიზი

დაზამთრების სიცივეში

დაზამთრების სიცივეში
შენი სახე მელანდება;
მდიდარი ვარ შენი ეშნით,
სიყვარული მედარდება.

ყინვის ცრემლებს შეგადარებ,
შეხიზულს და გულში გამდნარს, —
ვინ თქვა, ვინ თქვა თეთრ საცმელში
მოგონებამ გაიავდრა.

ზამთრის ფერი, ეფემერი
ჯვარისწერის სიქალწულე,
სიცივეში ვინც ვერ მღერის,
გაზაფხულსაც ითვალწუნებს.

პარიზი

საოცნებო

ჩემი ოცნება
 საზღაპრო ნოხი,
 ათასი წლის და
 ქიდევ ახალი,
 კლდეზე ჰეილია
 პატარა ქოხი —
 კლდის იქით კლდე და
 კულავ ნასახლარი.
 მზე ჩაჯდომია
 მწვანე ცენახებს
 ვაზის ძირებში
 ოქრონაქარგი,
 თითქო განთიადს
 ხელი შევახე,
 მიწამ გაიხსნა
 მკერდი სახნავი.
 მიუღივარ, მაგრამ
 რა მენალელება,
 თუ ქვეყნად ყოფნა
 არის სიზმარი!
 გზები იშლება
 მწვანე მინდვრებად,
 მიცქერს მზის ბავშვი
 მზეში მძინარი.

ლოეილი 1969

აქ უცხოელი, იქ უცხოელი!
 ჩა დაგრჩენია ან ჩას შოელი,
 თმები ფიქრებით შეგთეთრებია
 სად არი მითხარ აღამიანო
 შენი ადგილი და სამყოფელი?
 მიუხწეველი ოცნების ხნიდან,
 გულო სად უნდა დაისადგურო,
 თუმცა წუთია წუთისოფელი,
 მე მაინც წუთით სიცოცხლე მინდა
 დაბადებასთან განუყოფელი.

პარიზი 1970.

ფიროთა ჩვენება

არაფერიდან ყველა ფერია,—
 სილამაზეც კი ნაზი ფერია,—
 მთები აივნებს გაღმოფენია.—
 მწევანე სამოსში ერთად მღერიან.

სიჩუმე ამბობს: არაფერია!
 ჩემი ფერები ძველთა ძეელია,
 მთელი სიცოცხლე ფერთა ჩქერია,—
 ხედვით მნათობენ მიიმღერიან.

თმებში ჭალარა შეგზამთრებია,
 უსინათლო ხარ.. არაფერია, —
 შენი ოცნებაც მრავალ ფერია!

განვლილ სიზმრების ოქროქვებიდან
 მოჩვენებები ერთად ქრებიან,
 ყველაფერიდან — არაფერია!

პარიზი

ჩემი ღამე

აამლერეთ ჩემი ღამე
 შავნაბადა ხმების ტაშით,
 სისხლის თქეში უნდა ჩადგეს
 ძარღვ გადაჭრილ სიტყვის ტანში.

რომ ამლერდეს მინდვრის ბავშვი
 ცით სიცოცხლის იავნანა,
 მწვანე თმებით ტყეს გადაშლილს
 მზე დადინდეს ოქროლვარად.

სიკვდილმა თქვას: არა - არა!
 ალარ მოვალ არასოდეს!
 მწუხარების სავიწყებლად
 სიხარული იმახსოვრე!

ასეთია ჩემი ღამის
 გულგამთბარი დილის ლოცვა.
 განთიადზე მზე და მთვარის
 გადახვევნა-გადაკოცნა.

პარიზი

სოფელი

შუა-ცეცხლი — ცეცხლნაცარი,
 ნაკვერჩხლების ღაფარი.
 ელავს ალით გადამთბარი
 მოსინათლე ლამპარი.

ჭვარტლში ბურავს ისლის სახლი
 ალთა ცელმოლერებით,
 ტყეში ხმების მოძახილი,
 შრომა და სიმლერები.

მინდერად სოფლის გოგონები,
 ყვავილების სიცილი,
 მხრებ დაწნილი ორლობენი,
 მთები მიხრილ-მოხრილნი.

კოპიტნარის კოპიტები,
 წყალში სურათ-ნალები,
 შეღამების შებინდება,
 ხმა ჭინკების ამბები.

იმალება თოხის ტარზე
 ნაოფლარი სოფელი,
 მზე და მთვარის მარად ბრუნვა,
 მარად განუყოფელი.

პარიზი 1967

ჩემო ოპრიბის მთებო

ველიეთიდან ქვემოთ,
ვაზიდან ლვინის ქვევრო!
საჩქველო სასიმღერო,
ამღერებულო ხმებო.

შენი სიცოცხლის ეშნი,
ორლობის წვიმა თქეში,
ბავშვობის ქუჩის ღელე,
გადაგუბული ხრეშით!

პაწა წისქვილის ბრუნვა,
ნაგები ჩალის გულით,
ჩრდილების გაღმოსურვა
ნაძვებში გამადრული.

გზა წყაროების პეშვით,
პირ დაბანილო მიწავ,
ცისარტყელების ეშნით,
ჩემო პატარა ციცავ!

ისლის სახლების ჯგუფო,
მწვანე სოფლების თემო,
ჩემი სიცოცხლე თქვენთან
ჩემო ოკრიბის მთებო!

პარიზი 1967

ბავშვთა სიზვარული

შენი მიხერა-მოხერა,
 სასწავლებლის ქაბა
 ნეტავ თუ გადაარჩა!
 ხომ არ დაიკარგა..?
 იქნებ გულის ნაცვლად
 ვინმე დაიდაგა,
 იქნებ დაგავიწყდი,
 გულმა არა ივარგა!
 პირველადი სიტყვა,
 პირველადი ევა.
 ყვავილებით ხელში
 დილის ამღერება.
 ეხლა წარსულს ძინავს
 ცრემლი სიზმარს ღებავს,
 და სიზმარში მხიბლავს
 შენი აღელებება.
 სასწავლებლის ქარი
 აწ არ გაიღება
 ბავშვთა სიყვარული
 ბავშვთა გალიმება.

პარიზი 1966

შენ სახეზე იშლება
სიღამაზე იმ ქვეყნის,
საღაც გულის ტრიალი
ყვავილებში იმღერის.

სითბო წამოგილია
სიყვარულით უდარდელს, —
გრძნობიარე ლიმილით
გული გამიგულადე.

ციცა ხარ თუ ნათელა,
ჩემო ციცინათელა,
შენმა თვალთა ცქინიალმა
გამიჩინა ანთება.

უცხო მიწოდეს

მზე გადმოეშვა ცრემლის ფერებად,
მზემ უსინათლოდ დალია სული,
მზე განისვენებს განსასვენებლად
ლამის სიზმარში სხივ გადასული.

აწ ყოველიცეს ზღაპარი ჰქვია,
ვარ მოჩვენების თეთრი მხედარი,
მე თვალში მომხვდა პირველი ტყვია,
სანამ ზეცისკენ გავიხედავდი.

ორჯერ მოვკვდები, ერთხელ ვიცოცხლე
ასე იცოდე; ნუ შემიცოდებ, —
ობოლი ვიყავ მე შენ გარეშე
და ამისათვის უცხო მიწოდეს.

არ ვიცი

არ ვიცი, სად ამღერდება
ლექსის წერისა ლერწმები,
როდესაც ფიქრებს დავხარი,
თუ როცა უღელს ვეწევი.

როცა თვალებში ჩაჯდება,
მთები მინდვრები ბავშვობის,
ქვეყანავ მზე და მთვარისა,
მოხუციც ვეღარ გაგშორდი.

თვალები მერცხლის ბუდეა,
მერცხლები შენსკენ ნაფრენი,
სიკვდილიც სიხარულია,
შენ თუ სიცოცხლით გათბები.

ამიტომ აღარ მასვენებს
ქარში ნაზარდი ლერწმები,
ვებრძვი სიცოცხლის ქარიშხალს,
ვებრძვი და ვეღარ ვეწევი.

პარიზი 1967

არ გამოცვლილა

აღვირ აწყვეტილ საუკუნეს ვინ შეაჩერებს,
 ვინ უპასუხებს ძველ თბილის და დაჩიქილ პრაგას?
 მსოფლიო აწყობს ძალადობის ჩვეულ არჩევნებს,
 კაცობრიობას ემუქრება ახალი წარლენა.

ოქტომბრის ცეცხლში ჩაითვარდა თეთრი ტაძარი,
 საკუთარ თავზე დააფიცეს მორიგი მონა.
 ქართლოსის კვენესა, ქარიშხალის ნაანდერძალი,
 წელთა მსელელობამ ტკიცილებით ვანიმეორა.

თავისუფლება ძალადობით კვლავ დაისაჯა,
 მაისის სხივებს აედევნა წითელი მკვლელი,
 თებერვლის დანით გადაჭრილი აგვისტოს მაჯა
 საკაცობრიო სათნოების იყო დამცველი.

არ აქვს სამშობლო სამშობლო ვრძნობას
 ყველას ეკუთვნის, დიდს და პატარას,
 ბუნების ძალა თუ კი მენდობა,
 ჰიანჭველასაც ვაძლევ სამართალს.

პარიზი

ძუჩა

ღმერთმა დაგიფაროს,
 ღმერთმა დამიფაროს,
 ფარი მოიფარე,
 ვერეინ დაგიფაროს.
 გიერი გამოშეონი,
 ქუჩა საგიერთი,
 რკინის ნამტვრევებში
 სისხლი, თავის ქალა.
 სუნთქვა საწამლავი,
 სმენა საშინელი,
 ბორგავს ბორკილებში
 ქაცის ნაშიერი.
 ღამით მიწყნარდება
 ჩუმი ნაბიჯები,
 დილა გაღმოგეხდავს
 ლურჯი დადინჯებით.
 ისევ გეევლინება
 მიწა საშინელი,
 ქვეყნის საგიერთში
 რკინის მაშინებით.
 ღმერთმა დაგიფაროს,
 ღმერთმა დამიფაროს,
 ფარი მოიფარე,
 ვერეინ დაგიფაროს.

პარიზი 1971

მითიულოვანი

ზიდე წამება შენი,
 იგრძენ ტკივილი სხეისი.
 ერთად გვაცოცხლებს შეიღებს
 მკურნალი მზე მაისის.

შაირი ყველგან ისმის,
 საქმე გაექცა ქალამს,
 ძმობის ძე უნდა მღერდეს
 მშობლიურ იავნანას.

ერთ გულოვანი ბრძოლა,
 ერთ გულოვანი აზრი,
 გამარჯვებული მოვა
 დამარცხებული მგზავრი.

პარიზი 1967

სიტყვები დასასრულის შემდეგ

ლექსი გავათავე, ლექსმა გამათავა,
გვირგვინი დაიღვა ყვითელმა თავთავმა,
ერთად ვიცოცხლეთ, ერთად წავედით,
წლებმა წაგვილო, მორჩია, გათავდა.

ზანტია ზამთარი, მჩატეა ზაფხული,
ჩიტები, ყინვა, მერცხლების მგზავრობა
ეწევარო მიწაში გულგალახულნი,
სიმართლის სიჩუმე და ჩენი თაობა.

ლევილი 1972

სივძიანი გაფიქრება

რომელ ტკიცილებს გაუძლო
გული დაჭრილი უდანოდ!
რომელ სიცოცხლით მაწამებ
სულზე ხელულო სუდარო!

მზე მკვდრის ცერია ღრუბლებში,
ქლექიანი და უდარო!
წეიმავ ღრუბლების უბეში
ცრემლებთან შეუსადარო!

ლევილი 1969

არჩევანი

სამშობლო — დედის სახლი
სულხან საბა ორბელიანი

მიწა ყველგან ერთი არის
ამ უცნაურ დედამიწის,
მაგრამ რა ექნა, რომ ამ გულში
სწორ უპოვარ ჩემი ქვეყნის
სიყვარულის ცეცხლი იწვის.

ჯარის კაცი არ მენახა,
არცა ჩვენი, არცა სხეისი,
იქნებ აღარ ამცობოდა :
ტყემლის თეთრი ყვავილებით
ოთა ხუჭუჭა ქუთაისი

გერმანელი, ფრანგი, რუსი,
დედის გული ყველგან ხარობს,
სიძულვილი ვის ჩვევია..!
მაგრამ, რა ექნა, ყველას მაინც
დედაჩემი მირჩევნია!

პარიზი 1967

ლრმალთა შორის მზე დამაუავე

ჰაუ, თამაღავ, თუ მართალი ხარ,
გვასვი სისხლივით დაღერილი ლვინო,
წმიდა ენახი გლოვით გადახმა,
ტირის ცრემლები და ვიოლინო.



ყურძნის მტევნები მზეს მოელიან,
ვაზის სიკვდილი ამტერევს აკიდოს,
გული წლეების საწნახელია,
გვასვი, თამაღავ, სიცოცხლის ლეინო!

ასწიეთ ყანწი ლამე ნათევი!
შევსვათ სიმთვრალით ბედის სიშავე
მთელი წუნილი არის ქართველი —
ლრუბელთა შორის მზე დამნაშავე.

პარიზი 1969

უკანასკნელი ზეიმი

სამოთხის წყალ-ვარდნილს
გული ეგებება,
სამფერა სარქველზე
დაესო ხანჯალი,
სიცოცხლის დედოფალს
მკერდი გაუხსნია,
ქრილობის ღარებზე
იღვრება მაჭარი.
იმლერის თამაღა
და სისხლის ნაგუბარი,
დაჭრილ ქვევრიდან
ყანწები აიცსო!
შეიქმნო ვარდები
თებერელის ქალწულმა,
დასრულდა ზეიმი,
მშვიდობით მაისო!

პარიზი 1971

ჭლაპარი

დღე ღამის მუდმივ ტრიალით
თვალებმა ბევრი მაჩუქა,
ცისკარმა კარი გამილო,
მზე გულს დაედო სარჩულად.

გამათბო სხიეთა სიცოცხლემ,
ლურჯი სამოთხის მსახურმა,
რაც პოეზიით ვაქვეყნე
შაირში გამოსახულმა.

ვარ შემოდგომის სალამო,
თვალებში სხივებ კლებული,
ვით გადადგომის წუთებში
მწარე ფიქრების ქრებული.

მცირედი არის ამბავი,
პასუხი ვერვინ იპოვნა,
ჩემი სიცოცხლის ზღაპარი
— იყო და არა იყო რა! —

პარიზი 1967

სეპტემბერი

მზის ქალიშვილს

ანგელოზი და მთავარ ანგელოზი, —
 სამოთხის ბალო, თუ ჩემო ეზო, —
 დედის დედულო;
 მამის მამულო,
 ჩენი ნაწილი ყველას მოგვეზღო.
 წმიდაო ანღრიავ, წმიდაო ნინო,
 აღრეა... აღრეა...
 ზედაშეს ღვინო.
 დედაში სახულო სიცოცხლის შვილო,
 იზარდე, იმრავლე
 მზის ქალიშვილო!

მხოლოდ შენ მრთხა

მხოლოდ შენ ერთმა მინდა იცოდე,
 მხოლოდ შენ ერთმა, სხვამ კი არავინ —
 როგორ მზემ სისხლი ჩამოიწევთა,
 ცრემლმა გაავსო გულის მარანი.

როგორ დაიწეა ნათესი ვარდი, —
 მას მაღლა ხედეა არ ღირსებია, —
 ცხელი სილით და სიცხით ნაღადრი,
 დაბადებული მზის ფესვებიდან.

მხოლოდ შენ ერთმა მინდა იცოდე,
 როგორ ტიროდა დღე უშენობას,
 როგორ გიმხელდა დამალულ ცოდვებს
 და გთხოვდა, გთხოვდა მარად შენდობას.

სევდის სავანი

სასაფლავოა ჩემი თავი, ჩემი გონება:
 იქ განისვენებს, ვინც წავიდა,
 ვინც მაფიქებს, ვინც მაგონდება.

მათი ბავშვობა,
 მათი ბრძოლა,
 მათი ლიმილი,
 მათი სიმღერა,
 მათი ჯვარტმა,
 გულის ტკივილი.

სასაფლავოა ჩემი თავი, სულის მხუთავი—
 შავი თავთავი გაყვითლებულ წელთა წყებაში.
 ცრემლებით ვისმენ დამარცხებულ გმირთა გოდებას, —
 არეინ მპასუხობს მარადიულ დავიწყებაში.

პარიზი

შენ გენაცვალე

ვისაც კი შევხვდი,
 უყონებლივ წამს გავეცალე, —
 მხოლოდ შენ დამრჩი,
 მხოლოდ შენ დამრჩი,
 შენ გენაცვალე! ,
 მივადექ უფსკრულს,
 უკუნეთი შემომევება,
 უკუნეთშიდაც
 უკუნეთით ვერ შემეცვალე!
 ჭალარა რაა...
 მაგრამ სხვაა ბაეშვი მოხუცი
 დაბადებილან
 უსიცოცხლოდ გადაგვარება!
 ვერ განვიახლე სიხარული,
 დიდხანს გიცადე,
 ძუბოს ფიცრამდე, კუბოს ფიცრამდე,
 შენ გენაცვალე!

პარიზი 1967

ჩემო ბედის ტრიალო!

მოღი ერთად ვიაროთ,
 ღამე გავიზიაროთ,
 შორეულო მზიანო,
 ჩემო ბედის ტრიალო!
 მოღი ერთად ვიაროთ,
 ჩემო ბედის ტრიალო!
 შენც ჩემსავით მოხუცო,
 შენც ჩემსავით ხნიანო!
 რას ბარბაცებ ღამეში
 შემუსროული თვალებით,
 ღვინის ფერით ვალეშილს.
 მე ხომ არ გევალები?
 მოღი ერთად ვიაროთ,
 ჩემო ბედის ტრიალო!
 მოღი ერთად ვიაროთ,
 მოღი, ნუ გებრალები!

და თუ ვეღარ გიხილე,
 სიკედილამდე მემალე,
 ჩემო ბედის ტრიალო!
 ვერ გიხილო მე მალე,
 წირვა გადამიხადე,
 მიმართული ღვთისამდე
 და სიცილით სიცოცხლის
 ლოდი გაითვისადე!

პარიზი

მოვიზოვებდეთ

მოვიგონებდეთ, ვინც იდლეგრძელა,
ვინც სიცოცხლისთვის იყო უვნები,
ალვილად მოველთ, მივდიგართ ძნელად
და გვავიწყდება ჩომ ვართ სტუმრები.

დროებითია ღამის სიბნელე,
დროებითია გარიერაუება,
გულში გაზრდილი ბრძოლის სიძნელე
და გამარჯვების არ დაეანგება.

სხეა სიხარული მაინც სად არი,
ჩანგი — ჩაგრული, სევდა — ფანდური.
დღე აწყვეტილი ღამის საღაეით
და მზის სხივებად გადაფანტული.

პარიზი 1968

ԲՅԵՆ ՀԱ ՈԼԵՈՆ

Արոգյան բյետոմբ տապառչութուն ԽՍՌԵՆԱԾ

Ըստ առաջին շաբաթի շամա մեյսի,
 շամառարութի շաբաթի նացեմու,
 ոտես առաս վլուս օստորուս,
 տցուտ օստորուս զարանանցրեցու.
 Եղանակ և արմաթ-պատե,
 շամառարութի եմուրած նարմեցու,
 ոյնուս երեմու և մարդու յալունուժա,
 դրու մայ տերութեալեթի ամոնացըն.
 Թուրա թրութեալես, յա լապահայուս,
 արյեռալուցուս ծրացնաց շամեցա,
 թյուրայքուտ թյուրաց մեմաւուանց
 դայարցուլ դրուտա շամեռայցան.
 Տապառնենա շամառայլուան,
 թյուրայլու թյուրունու առայ դաց թյուրուտ.
 Տար թյուրայլու հոգուրու ծոծունուա
 Տապառնենա և տապառնենա թուրուն.
 Դրում դամիթյուրա, յալու համուլամըն,
 լամե ցրամլութիւն տցալու մոցսուլու,
 շամա թրութեալմա յրտած ցարտահա
 հյուն և օսոնո, հյուն և օսոնո.
 Ցոյսացուտ թյուրանու թյուրունու յայսոնու,
 թյուրանու սոյցալունու յայսոնու այսուլուա,
 գույս յայս յուսունու զուտ յանդակցա,
 թյուրա դամույլունու յարուս բաժարուան.
 Մայս այսունու թյուրունու յայսուլու,
 յարուս արույնունու յայսուլու յայսուլու,
 յարուս այսունու յայսուլու յայսուլու,
 յարուս այսունու յայսուլու յայսուլու:

Հյուն և օսոնո — հյուն և օսոնո.

Լայպունուս Տապառնենա 1969

შავი ჩარი

ლევილის შატოს შენობაში ჩემი ოთახის
 ერთი კედელი მოცულია საქართველოს
 რუქით. ეს შაირი მიეძღვნის მის აეტორს,
 ნეტარ პსენებულ ნესტორ კალანდაძეს —
 („ეშმაკ“-ს).

შავი ზღვის და კასპის ქარი,
 ნაწისლარი, ნაომარი,
 ზღვის ტალღებში მონავარდი,
 შავ ლრუბლებად ჩამომღვარი.

ოქროს ვერძი, ოქრო-გვარი,
 გაძარცული, გადამდგარი,
 მკერდ ნანგრევი ისტორია,
 სიჩუმეში ქართლის ჯარი.

გადაცქერის მზე უკუნეთს,
 დროს არ უჩანს გზა და კვალი,
 ასე მიდის საუკუნე
 დამტვრეული ქრისტეს ჯეარით.

შავი ზღვის და კასპის ქარი
 ხმელს ლრუბლებად ახევეია,
 დაცემა და კვლავ აღდგომა
 წამებულის სახელია.

ლევილი 1968

სილამაზის განხტაცი

(ალექსანდრე შათირიშვილის ხსოვნას)

მე ცრემლების სახრჩობელა მექუთვნოდა,
 თავისუფლების ციხე მარგუნეს.
 ლამაზი ქვეყნის ყაჩაღი ვიყავ
 და სილამაზე წლეებს მოვტაცე.
 გავძარცვე ზეცა, გავძარცვე მიწა,
 ნაძვების სუნთქვა, ლაუვარდი სივრცე.
 მე ყოველივე გამოვიტაცე!
 კახეთის გული, გურიის მთები,
 იმერეთიდან მზე სხივ მცინარი,
 ქართლის იმედი, ბედი ქართლისა
 და სამეგრელოს ძველი სიზმარი.
 მე ყოველივე გამოვიტაცე!
 შუქურ ვარსკელავი, შვიდი მნათობი,
 მზე მოგზაური გულის სათბობი,
 სალამურები დილით საკრავი
 და პოეზია მსხვერპლის საკლავი.
 მე ყოველივე გამოვიტაცე!
 მტკვარის ჭრილობა, ოქრგის ღრიალი
 და წიწამურის ქვა სისხლიანი,
 დედის საფლავი, სიცოცხლის ლოდი,
 რაღაც ვიცოდი არაოდეს დაებრუნდებოდი

პარიზი 1972

დღე განდაცვლილთა

გულის ფრიალი, ბედის ტრიალი,
შეულლებული მრავალ წლიანი,
სული მძინარი, მზის მომზირალი,
შესვენებული დალლილი მგზავრი.

გულში ლურსმანი, შავი ლურსმანი,
ცრემლის კურცხალი და ქრისტეს ჯვარი,
უსაზღვროების მძიმე საზღვარი,
ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი გვარი.

რამდენი ერთი, რამდენი ათი,
გამრავლებული ასი ათასი,
მიწამ იმარხა სახელი მათი,
ყალ-წაქცეული კანკალებს თასი.

მკვდრების ღამეა, თუ მკვდრების დღეა, —
ყველას ვიღაც ჰყავს მოსაგონარი!
ნეტავ რად ტირის მარად სიმშეიდეს
ჩვენი სიცოცხლე მოსაგლოვარი!

ლევილი 1970

მათა შეხვედრა

(მიხეილ კედიას ხსოვნას)

მომეცი ხელი, შიმშილით ხმელი,
 ავამოძრაოთ ერთად ძარღვები,
 შემდეგ სიცოცხლის გზებზე ვამლეროთ
 გული გულიდან ამონალები.

დიდხანს ვატარე თქვენი სახელი
 უცხოობაში მარტოდ შთენილმა,
 იმედი გულში შემოვინახე
 შეხვედრის ლოცვით გადარჩენილმა.

ორთაც დაგვეცა თებერელის რისხვა,
 შავ ღამეებში ბრძოლა და დევნა,
 მოგვეტაცა ქარმა მაისის ვარდი
 და ქარიშხალით აგვიცსო სეედა.

ეხლა, როდესაც პირის-პირ ვდგავართ
 ჩვენი გულები ერთად ქცეულა,
 გადაიარა ქვეყნად გრიგალმა, —
 წითელი მუხა არ წაქცეულა.

ფერი რა არი რომ გვეშინოდეს,
 ჩვენ ხომ სიზმრების არ ვართ მყინვარი,
 როს გულში გვიზის ვით ვამარჯვება,
 დედის ცრემლები გაუყინავი.

მომეცი ხელი, შიმშილით ხმელი,
 ავამოძრაოთ ერთად ძარღვები,
 შემდეგ ბრძოლების გზებზე ვამლეროთ
 გული გულიდან ამონალები.

პარიზი 1945

ჩემო

გამარჯვება ჩემო!
 რატომ დამივიწყე?
 ნუ თუ მზე არ ახლავს
 ჩემ სისხლიან სიტყვებს!

ვერას გეტყვი ახალს,
 ჩემო მშვენიერო,
 ჩემო მშვენიერო,
 დიღხანს ველარ გნახავ!

ყვავილს ვკრეფდი შენთვის, —
 ყვავილიც კი გახმა,
 სიყვარულს დავეძებ,
 სიყვარულის გლახა.

ქვეყნად ვერსად ვნახე
 შენი კარგი სახე,
 უსახლკარო კაცი
 ცრემლზე დავესახლე.

გამარჯვება ჩემო,
 რატომ დამივიწყე?
 ნუ თუ მზე არ ახლავს
 ჩემ სისხლიან სიტყვებს!

პარიზი

უსინათლობა

ჩემო თვალის სინათლევ
ხედავ უსინათლობას,
როცა ღამე ინათებს,
ისმენ გულის ნათლობას.

ყველგან ერთად ვიქწებით
საუკუნის ობლები,
გამომშრალი ფიქრებით,
ხეევნა უდაბნოების.

ფერაფრენილ ფოთლებად
ნარობს სულის სინაზე,
ქარის აბობოქრება
და თვალები სილაში.

გადაივლის ზღაპრები
ამ ქვეყნიურ ალერსის,
უსინათლოდ წაგვიღებს
სევდა ულამაზესი.

პარიზი 1968

სულთათანა. გულთათანა.

ცრემლთათანა.

მამაო ჩენო! გათაედა წირვა!

კუბო ცივია, დალუქეულია,

ილარი გულია, ილარი სულია,

ალილულია,

ალილულია.

კითხვებს გუმბათი გადუხურია,

გარდასულიდან გაღმოდის გლოვა.

ასე ყოფილა, ყოფნა — არ ყოფნა,

არ გაყოფილან, ერთად უვლიათ.

მამაო ჩენო, სად მიგვაცილებ..?

ალილუა,

ალილულია.

პარიზი

ჩივი

ნასახლარის ნანგრევები, კოშკი კლდეზე გარჩენილი,
 როგორც წიგნი ქვად ქცეული შესასწავლად დარჩენილი

ძველი მცხეთა და მცხეთოსი სიძველეთა საძირკველი,
 მიწა თხრილი დროდ ქცეული, აღმოჩენა საკვირველი.

ფეხშიშველი მინდვრის ბავშვი, ჩემი ლოცვა ცივნა-
 ცრემლი,
 ჩემი ქოხი, ჩემი გვარი, ჩემი ღრუბლის ნაწვიმარი.

შავი ღამე თეთრად მდგარი სიჩუმეში გახვეული,
 განთიადის ნაბინდარი, მზე სხივებად დარხეული.

ყოველივე მაგონდება, ვარ გონება გადამდვარი,
 უსამართლოდ უბინაო და ნამცეცი ჩემი გვარის,

პარიზი 1970

გათენებაშე

გათენებამდე ღამეს გავათევ,
 გაუნათებლად ჩაეთქობ სანთლებს,
 აბარბაცებით ავედევნები
 განთიადისკენ მიმავალ ლანდებს.

ნუ ვემფურებით ამ წუთისოფელს,
 ღვინო ღამისხით — ღვინო ღალიეთ!
 ის შემიმოკლებს ყმაწვილ სიცოცხლეს,
 ვინც ღლეს მიმღერის მრავალეამიერს.

ადრე მოვკვდები, გვიან მოვკვდები,
 რას მივედები, რას მოვედები,
 ნეტავ რა არის ჩეენი ცხოვრება,
 თუ არ მძინარე ქაცის ბოლვები!

მაშ ერთად, ძმებო, დავცალოთ ყანწი,
 სანამ სიცოცხლით არა ვართ მკედარნი,
 თუ ვერ ვიხილოთ, რაც მოხდეს აწი,
 დავლიოთ სულთა შესანდობარი.

პარიზი 1966

სამოცი წლის

მხოლოდ თვალით
 დასათვალი
 სამოცი წლის
 გზა და ქვალი,
 ზაფხულიდან
 დაზამთრება
 შემოდგომა
 თეთრსაწყნარი.
 შრომა, ზრუნვა,
 მოძრაობა
 სიკოცხლის წინ
 ერთად მდგარი.
 ჩამოთვალე,
 ჩამოთვალე,
 შემოაწყვე
 მოხუც თვალებს,
 ბაეშვის თვალი
 ქვეყნის თვალი,
 სამოცი წლის
 დღე და ღამე,
 სამოცი წლის
 ნასახლარი.

პარიზი 1967

განსაცდელია შენი თვალები,
განსაცდელია შენი სიცოცხლე,
განსაცდელია მზის თავთავები,
განსაცდელია რომ გათავდები.

ორივ ერთია სიტქბო — სიმწარე,
გადაივიწყე, თუ გინდ იწამე.

განსაცდელია ლამის გათევა,
მზე რომ ამოდის და არ თენდება,
განსაცდელია როცა ცეცხლში ხარ,
სხეული იწვის, გული არ თბება.

ორივ ერთია სიტქბო — სიმწარე,
გადაივიწყე, თუ გინდ იწამე.

პარიზი 1967

მუსიკი

ეტმასნება ცას და მიწას
ქარის ქროლვა, მეყუნის წყლული,
წუთიერი მოჩერენების
აჩრდილებში შენისლული.

უხილავის უხილესელი,
უგებარი შევების წინად,
ჩასახვიდან შეუცნობი
დაბადების გამოწირვა.

ვიყავი და ვარ ყოფილი
მოჩერენების სამყოფელი,
ფერი მრავლად გაყოფილი,
უცნაური ეფემერი.

პარიზი 1967

ფიქრის გორაზე

ფიქრის გორაზე აველ,
 ფიქრით განვლიე ღამე,
 მთები ალვიძებს მამლებს,
 დილავ მითხარი რამე.

ფიქრის გორაზე ღამხვდი,
 ამაღლებული ღამით,
 გაგება მსურდა ახლის,
 მითხარ სიკედილი მამის.

გულმა ხომ გითხრა: ამინ!
 ცრემლმა დაიწყო დენა,
 ცრემლი შევიშვრე მამის,
 თუ ცოცხალია დედა!

ფიქრის გორაზე ღამხვდი,
 მითხარ: მოგიქლეს დედა!
 ფიქრი დასრულდა ღამის,
 ღამაკლდა თვალთა ხელვა.

იღარ მოველი დილას,
 მზეს, ჩემთვის უსინათლოს,
 ხელი შევახე ყინვას,
 ისევ სიცოცხლე მათბობს.

პარიზი

დაუთმობელს

ვუცდი — ვუცდი — ვიღი — ვიღი,
 ვით სიცოცხლის მინდორ — ვიღი
 ვით დედულის სილამაზე,
 ვით მზის სხივთა სავარძელი.

მე დაედნები სანთელივით,
 სანთელივით შეგელევი,
 ყოველს დაეთმობ ამა ქვეყნად,
 მხოლოდ შენ ვირ შეგელევი.

პარიზი 1970

უკავებ

ყვავილებს სცივათ, ყვავილებს ჰყინავთ,
 გუგა გაუთბეთ, ასხურეთ წყალი,
 მე მათში ვცოცხლობ, მე მათში მძინავს,
 არაენ დამრჩია სხვა მეგობარი.

თითქოს საფლავებს ამოდის ბოლი,
 და შორეთიდან ღამე ნახშირობს!
 მჩატეა ჩემთვის ქართული ლოდი, —
 ყვავილთა ყნოსვით საშვილიშვილო.

პარიზი 1970

ისე პირ ზონი

მზე დასავალში სავანეს ეძებს,
 ლრუბლების ძენძებს მიემალება,
 მიემალება ოქროთვალება
 ღამის კუბოში განსასვენებლად.

დარჩა სიზმარი გარიერაეების
 და განთიალის არ დაცალება,
 ისე ვით შენი, ისე ვით ჩემი
 დაბალება და გარდაცვალება.

პარიზი 1968

შოველ არსებას

მე ამა ქვეყნად შენთვის ვიცადე,
 მე ის შევქენი, რაც განვიცადე:
 სამგზავრო სიტყვა, სამგზავრო ლოცვა,
გზა აზიდული მიწიდან ცამდე.

ტრემლები ვყავი სულის სასმელად,
 დაცლა-შევსება არ გათავების,
 და ვუცქეროდი ყოველ არსებას
 ჯვარზე გაკრული ქრისტეს თვალებით.

პარიზი 1968

გულის საფეხმალთან

მოჩეკენების მოლანდება,
დილა დაისებად,
მიღის-მოღის მომავალი,
დროთა განრისხება.
ყოველიცე მიღის, ქრება
შემოდგომის ფერთან,
ვით სიცოცხლის ჩაფიქრება
გულის საფეხმალთან.

პარიზი 1969

ხარვეზი

როს გულის ცემით გული გელევა,
მაშინ იწყება საშინელება,
ნაზი ხარვეზის არ იცი ვინ ხარ,
უცნობი ხელით ნაძერწი თიხა.

არის მარადი სიცარიელე,
დრო არ გეძახის: მითხარი ვინ ხარ!
არის ჩემნება მარად სიჩუმის,
ალარც პასუხი და ალარც კითხვა.

პარიზი 1967

განთიადი მძღია

გამარჯვება შენი! სინათლეს თუ მომცემ
შავი ღამის ხელი ებობლება ბორცვებს,
დაკეტილი კარი, გარედ ცივი ქარი,
მოგზაურობს ლაზე ბედის ნასახლარი.

გული გადმოვიდა ლექსის მაღანივით,
ვიცი კალმის წვერზე ღამე დაილევა,
კარი დაკეტილი და ცისქარი ლია,—
დილა მეუბნება: განთიადი მქენია.

პარიზი 1969

ჟოველი ჭუთი

ვიცი გამყენება ამ ქვეყნის ვალი
სიხარულის და სიცოცხლის დილა,
გადადის შორით გარდამავალი
და გათენებას ქოჩებში ძინავს.

დათვლილი არი ჩემი დღეები,
როგორც სტრიქონში სიტყვის მარცვალი,
და მენანება ყოველი წუთი
ღრო გადასული გამონაცვალი.

პარიზი 1967

მოგეფერები

ფერად ვიქტევი მოგეფერები,
 ეით მზის ცრემლები ცისარტყელები,
 ეით უსინათლოს პირველი ცერა,
 მონად ქცეული, მონა ფერების.

ფერებს გაგიფენ, მოგეფერები,
 ჩემო ლამაზო და ჩემო მშეიდო
 ფერებს გაგიფენ ფერთაწერისას,
 ფერთა ფერებით რომ დაგამშეიდო.

პარიზი 1967

დაკარგულ სიცვარულს

2

პასუხი ჩავჭეცე ვარდის ფერ კუბოში
 და კუბო გაფრინდა წლების ფრთარხევით,
 უშენოდ სიცოცხლე რას მარგებს, რად მინდა!
 ნეტავი რა არის აწ ჩემი სახელი..!

რად მწეავდა დღეების უმიზნო ძახილი,
 იმდეს რად ვარხევდი შენისლულ ფიქრებში!
 გიგონებ და მჯერა შენ, ჩემო ლამაზო,
 სიკვდილის შემდეგაც ჩენ ერთად ვიქნებით.

პარიზი 1966

ორჯორი

ორჯორ დამეხე მთები და
 სიმხლი აღინე ქვეყანას,
 ექლისა ნაცულად მიწაზე
 ყვავილმა ამოიყარა.

შხამი შენ მიერ ნაეური
 სიცოცხლის წყაროდ ქცულა,
 მოპქუხს მღინარე ვაეური,
 მქურნალი რჩეულ — რჩეულთა.

პარიზი 1956

მარტის თვის გავუპიპს

მშობეარეა სამშობლო
 წამებით წარმონაშები,
 შენდება, ისევ ინგრევა
 საკუთარ ხელით ნაშენი.

საშველი ქვეყნად სად არი..?
 არ არი ქვეყნის საშველი,
 სამშობლოს სისხლით იცავენ
 ახლად შობილი ბავშვები.

მარტის თვე 1956

საკუთარ თავთან

ყველა წავიდა,
 მორჩია გათავდა,
 ესაუბრობ მარტო
 საკუთარ თავთან.
 სიციეე ყინავს
 ჯვრების ჯვარედინს,
 გული არ გათბა,
 გული არ გათბა.
 ჩამქრალ ეარსკველავებს
 ეინდა დაითვლის,
 თვალზე ცრემლები
 ნაცრალ მეღება.
 უსინათლო ვარ,
 როგორც დავითი
 და გახიზნული
 გულის ვეღრება.
 ღამე იღმართში
 ეძახის ყორნებს,
 დილა ცანცანებს
 მზე დაქარგული,
 ვუზივარ სიტყვას,
 ვაწყობ სტრიქონებს,
 კალმის წვერივით
 წელ მოკუნტული.

პარიზი 1966

* *

საღაც გავიარე,
 უკუ მოვიხედე —
 უკუ მოვიხედე
 ნასახლარია.

საღაც გავიარე,
 წინ ვერ წავიწიე —
 წინ ვერ წავიწიე,
 მზის საზღვარია.

პარიზი

პატარას

იძინე ჩემო
 გარედ წვიმაა,
 შენი სიზმარი,
 ჩემი ფიქრები
 ერთი სანთელის
 ორი წირვაა.
 ის აღარ მოვა
 ვინც შენ დაგტოვა!
 ლამეს აშავებს,—
 ყორნის სიჩუმე,—
 სინათლე ქრება!
 ორნიც მარტო ვართ.

II

პარიზი.

შემოდგომის ცვავილი

ისე იცვალა ფერი ყვავილმა,
 არ შეიცვალა, არც გარდიცვალა
 დროს ვერ გაუსწრო, დრო განიცალა
 გათენებამდი ბნელში იცადა.

შემდეგ თვალები აღაპრო ცამდე
 ცივი ყინვების ცრემლით იცვარა,
 დამჭერაზე ფოთლების ყვითელ ფურცლებზე
 უსიხარულოდ გარდაიცვალა.

ლოვილი 1966.

ბეჭი ვაჩდ-ცვავილთა

ვარდებს მოკრიფავს ბავშვი,
 ყვავილს უძღვნიან სატრფოს,
 მიწის გარეშე ვარდებს
 სიცოცხლე ვეღარ ათბობს.

ვარდებს აფენენ ზღვაზე,
 ვარდებს აწყობენ ქვაზე,
 ზღვა ჩაიძირავს გემებს
 მიწა ცრემლს იშრობს თვალზე.

პარიზი 1968

ისიდორე ჩარსელაძე

ლოვილი მოხუცდა,
 მოხუცი ახველებს,
 ველური ბალახი
 ირჩევა ზეცისკენ,
 დაცემა,— დაცემის
 არ არის აღდგომა,
 საფლავში ისვენებს
 მოხუცი მეცისკრე.

სტრიქონის ამწყობი,
 წიგნების საწყობი
 ასოთა მცენარე
 აზრებით ნაზარდი,
 წლეები მღელვარე,
 სიკვდილი საზარი,
 მითხარი მოხუცო
 სვენება სად არი..?

ყანაში დაბინავდა
 საშიში სიჩუმე,
 ჩურჩულებს მარცვლები
 სევდიან სერელებში;
 არ არის იმედი
 არ არის დანდობა,
 მიწას აბრუნებ,
 თუ მიწა შენ გაბრუნებს!
 გახვალ ამ ქვეყნიდან,
 დაგვრჩება მაღლობა.

ლოვილი 1970

**

ვიცელიდი, ვიცვლიდი
სიყვარულის
ფერად ყვაეილებს,
ვიყვაეი მათი სილამაზით
გულ განაბზარი,
ისე წავიღნენ—
ისე დამტილდენ—
მე გავხმი მაგრამ
მათ დაჭკნობას
ვერ მოვესწარი.

ლოვილი 1971.

გაიანი ნაკაიძის ასულს

(ექსპრომტი)

თვალებ წყლიანო,
სიცოცხლის წყარო,
ქართველო ქალო
მშეიდო და წყნარო,
ისე კარგი წარ
და ისე მნათობ —
გვერდს რომ ჩაგივლის
მებრალება მე უსინათლო.

1967 ლოვილი.

საავადმყოფოში

ბნელ ოთახებში ბრუნავს სიზმარი
 ჯადოსნურ ხელით არხევს ფახუაოსა,
 შემდევ ლურჯეთი წვება ლოგინში
 და განთიადის გარიერაევება.

კალარა თმებით წლებითან ზიხარ
 დრო გეკითხება: რამდენი წლის ხარ?
 შემოდის დილა, დილა მზეთვალა
 და გაიმედებს: იცოცხებ დიღხანს.

შენ გენანება ყოველი წუთი,
 შენ გენანება ყოველი წამი
 ოფლი ჩამოგდის სიმწრის ნაწური
 დროს ებრძოლება თეალთა წამწამი.

ხედავ შორეთში მრავალ ჩვენებას
 სოფელი, დედა, ბავშვთა ყიქინი,
 რომ გაპყვე ბედის გასაჩივრებას
 შენ წარმოდგები ფეხზე გიჟივით.

თეთრ ხალათების სწრაფი მიმოსვლა
 შებრალება და სიჩუმის სიტყვა,
 საშინელია, საშინელია
 უცხოეთი და: რამდენი წლის ხარ?

პარიზი 1968.

მოგონიანი სიზმარი

ჭორფლიანი ქარი
 დამჭენარ ფოთლებს აყრის ფანჯარას.
 ქრაქის ლაპ-ლაპი
 ჭვარტლიან ჭერს ეთამაშება .
 გამხმარი შუშის თვალები
 იმსხერევა ყინვაზე.
 ისმის ნაკვერჩხლების
 წითელი წყარუნი.
 დაკუნძული ჯირკები
 ნელ-ნელ იფერფლება.
 შუა ცუცხლს შეფიცხებია
 ლოყა შეწითლებული კეცები.
 სიცივე შიმშილივით
 ჩამომჯდარა გამხმარ ბეებზე.
 თოვლში შავ მარცვლებად
 გაბნეულა თეთრ-ქუდა ქოხები.
 ქალამნის ნაკვალევი
 ჩერდება კარების წინ,
 კარებს აღებს მოხუცი დედა,
 — რატომ დაიგვიანე, შვილო..?
 დილის ხუთი საათია, პარიზი ილვიძებს,
 სიზმარის ძინავს, — ძინავს ტკბილი ძილით.

პარიზი

პეტა დავკარგე,
პეტამ დამკარგა,
არ ვიცი არა, მქონდა თუ არა.
რა არის კარგი, ან სიავკარგე,
ვერ მიპასუხა სევდა-მწუხარმა.

მხოლოდ სიცოცხლე ბედის მუქარა
ჩაფიქრებულა სოფლის ბუბართან
იწვის წლეები თავდავიწყებით,
დრო ნაკვერჩხლები, წუთი ხუმარა.
პეტა დავკარგე,
პეტამ დამკარგა,
არ ვიცი არა, მქონდა თუ არა.

პარიზი 1968

**


ოდეს ამ ქვეყნად მე არ ვიქნები,
ჩემი ფიქრების აზრთა გამგები,
მუდამ ახალო ძელო საგნებო:

ყელ გამომშრალო საწერ-ქალამო,
მარად უცვლელო ლექსის ფურცლებო,
ბავშვობის წიგნის ფერთა ფანჯრებო,
გადასულ დროთა სიტყვის სათქმელნო.

შეუნდეთ პოეტს გულ მართალ გარჯით,
რომ გამუშავათ ოფლით და ტანჯვით.

ოდეს ამ ქვეყნად მე არ ვიქნები,
ჩემი ლექსით და ჩემი ფიქრებით.

პარიზი 1972



| | |
|----------------------------|---------------|
| ლუბა აბდუშელი | 50 |
| პეტრე ხელელიანი | 550 |
| ალექსანდრე შათირიშვილი | 100 |
| ქაიხოსრო ჯაყელი | 200 |
| დავით ურატაძე | 50 |
| ნიკოლოზ ბოკუჩავა | 100 |
| შალვა კალანდაძე | 100 |
| აკაკი შავგულიძე | 100 |
| დავით გაშაძე | 75 |
| აკაკი ასათიანი | 30 |
| გიორგი შანშიაშვილი | 30 |
| ერმალო ყაველაშვილი | 30 |
| ლევან ტიტეინიძე | 10 |
| სერგო ინასარიძე | 50 |
| კარლო ინასარიძე | 100 |
| გიორგი (ცორა) ასათიანი | 50 |
| ირაკლი ოთხმეზური | ბელგ. ფრ. 400 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 200 |
| მარიამ ღოღობერიძე | 50 |
| სოშის ქართველთა საფეისტომო | 100 |
| სევერიან ჭირაქაძე | 50 |
| ევტიხი აბულაძე | 50 |
| გიორგი ნაკაშიძე | 100 |
| გიორგი (გუგული) გამყრელიძე | 100 |
| პეტრე ხელელიძე | 125 |
| კომანდან კინწურაშვილი | 50 |
| მიხეილ გოგორიშვილი | 30 |
| ეაზონ მამულაიშვილი | 100 |
| დიმიტრი ქიმერიძე | 30 |
| თათრახან ანთაძე | 50 |
| ნიკო ყურულაშვილი | 50 |
| ძიტო კლდიაშვილი | 30 |
| კომანდან თოხაძე | 20 |
| მიხეილ გაჩინაძე | 30 |
| სიმონ აბაშიძე | 50 |



| | |
|---|-----|
| განო ნანუაშვილი | 50 |
| გივი გაბლიანი | 50 |
| ალექსანდრე (ალიოშა) მელიავა | 50 |
| აფრასიონ ხვედელიანი | 50 |
| ვალიქო ჭელიძე | 50 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 200 |
| მიხ. ცაგარელი. მოსახსენებლად ელენე ცაგარელისა | 100 |
| ქრისტეფორე იმნაიშვილი | 50 |
| გიორგი წერეთელი | 100 |
| პროეოფი ინწუირველი | 100 |
| კვირისი ქლენტი | 50 |
| ვიქტორ ხომერიკი | 50 |
| სიმონ ბლიაძე | 50 |
| პავლე ვაშაძე | 50 |
| გერასიმე ბოლქვაძე | 50 |

თეოთეულს და ყველას ჩემ უღრმეს მაღლობას მო-
ვახსენებ ყოველ მხრივ დახმარებისათვის.
პატივის ცემით გიორგი ყიფიანი

ამავე ავტორის: „ლექსები“—1981 წ. —80 გვ.

„რჩეული შაირების ქრებული“ 1951

„გიორგი ყიფიანი“ 1980—1985 წწ.

შინაარსი


გვერდი

| | |
|------------------------|----|
| დედას | 5 |
| მედიტერანე (ფრანგულად) | 9 |
| შეინდე ფიქრი | 11 |
| ანი — ბანი | 12 |
| მედიტერანე | 13 |
| პარიზი | 14 |
| ახალი წლის სიმარტოვე | 16 |
| საკრე კორის ტაძარს | 17 |
| ქლოშარი | 18 |
| ნოტრდამის იდუმალი | 20 |
| პიგალის ქუჩა — 62 | 21 |
| მონუკი და ბავშვი | 23 |
| ჯვარი | 24 |
| ამა ქვეყნიდან | 25 |
| რაღვან ის თასი | 26 |
| განმეორება | 27 |
| საახალწლო შესანდობარი | 28 |
| ჩემთ ფიქრგანულყოფელი | 29 |
| ჰიპპის | 30 |
| ფერთა მკვლელობა | 31 |
| უცხო ქარი | 32 |
| პრეზიდენტის საფლავზე | 32 |
| ეცროპას | 33 |
| ** | 33 |
| გული და გაზაფხული | 45 |
| ტყემლის ყვავილები | 34 |
| მშობლიური ყვავილები | 35 |
| დედაქემს | 36 |
| ლევილის ცაცხვებს | 37 |

| | |
|---|----|
| ნირვნს | 38 |
| მწუხარი | 39 |
| მაღლობიდან | 40 |
| ლევილი შემოდგომის ღამეში | 41 |
| დამდიდარი | 42 |
| ქართველ გოგონას | 43 |
| გასაგებია | 43 |
| ზღვაზე | 44 |
| ** | 44 |
| გული და გაზაფხული | 45 |
| მატარებლიდან | 45 |
| საახალწლო | 48 |
| პოეტის ლოცვა | 51 |
| რუსთაველის მაისი | 52 |
| საქართველოს პოეტებს | 53 |
| რეაასი წლის რუსთაველს | 54 |
| კითხვები ჯვარის მონასტერზე | 56 |
| ხმა განკითხვისა | 57 |
| ოთ ჩა ცუდად | 59 |
| პოეტის ფიცი | 60 |
| ტიციან ტაბიძეს ხსოვნას | 62 |
| ესენინს | 63 |
| ლია ბარათი ანა კალანდაძეს | 64 |
| ბარათი ვიქტორ ნოზაძეს | 65 |
| ორი პოეტი | 66 |
| შიში | 67 |
| პატიმარი პოეტი | 68 |
| გაზაფხულის მეცნიელობა (იან პალაშის ხსოვნას) | 69 |
| საქართველოს ახალგაზრდობას | 70 |



| | |
|-------------------------------|----|
| ლექსი ლერწამი | 71 |
| პოეტის პასუხი | 72 |
| პოეტი და პოეზია | 73 |
| ერთი ლექსი | 73 |
| ღვინის სიკეთე | 74 |
| ერთგულება | 74 |
| კაცი თუ სამართალი | 75 |
| ჩვენი წარსულის ცრემლი ანათებს | 76 |
| მეც მინდა ვთქვა | 77 |
| პოეტი და კრიტიკოსი | 78 |
| დარვინიზმიდან | 78 |
| შიშის შედეგი | 78 |
| მთლიანი ნაწყვეტები | 79 |
| წითელ ჩოხოსან გულმკერდიანებს | 80 |
| ლევან ზურაბიშვილს | 81 |
| მექოლე | 82 |
| დილას | 83 |
| ტყიბულისაქენ | 84 |
| გაზაფხულის ლოცვა | 85 |
| თავდაყირა | 86 |
| თვალი | 87 |
| ობობას ბედი | 88 |
| სიზმარი | 89 |
| დაზამთრება | 89 |
| შემოდგომის სილამაზე | 90 |
| მინდვრის ბავშვი | 91 |
| დაზამთრების სიცივეში | 92 |
| განუშორებელ სიყმაწეილეს | 92 |
| საოცნებო | 93 |
| უცხოელი | 94 |
| ცერთა ჩვენება | 94 |
| ჩემი ღამე | 95 |
| სოფელი | 96 |
| ჩემო ოქრიბის მთებო | 97 |
| ბავშვთა სიყვარული | 98 |
| ქუთაისიდან მოფრენილი | 99 |
| ნათელას | 99 |



| | |
|---|-----|
| უცხო მიწოდეს | 99 |
| არ ვიტი | 100 |
| არ გამოცელილა | 101 |
| ქუჩა | 102 |
| ერთგულოვანი | 103 |
| სიტყვები დასასრულის შემდეგ | 104 |
| სევდიანი გაფიქრება | 104 |
| არჩევანი | 105 |
| ღრუბელთა შორის მზე დამნაშავე | 107 |
| უკანასკნელი ზეიმი | 106 |
| სევდის სავანე | 109 |
| მზის ქალიშვილს | 111 |
| მხოლოდ შენ ერთმა | 111 |
| სევდის სავანე | 112 |
| შენ გენაცვალე | 113 |
| ჩემი ბედის ტრიალო | 114 |
| მოვიგონებდეთ | 115 |
| ჩვენ და ისინი (ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას) | 116 |
| შევი ქარი | 117 |
| სილამაზის განმტაცი (ალ. შათირიშვილის ხსოვნას) | 118 |
| დღე გარდაცელილთა | 119 |
| ძმათა შეხვედრა | 120 |
| ჩემო | 121 |
| უსინათლოს | 122 |
| ალილუა | 123 |
| ჩემი | 123 |
| გათენებამდე | 124 |
| სამოცი წლის | 125 |
| განსაცდელია | 126 |
| ეფემერი | 126 |
| ფიქრის გორაზე | 127 |
| დაუთმობელს | 128 |
| შემდეგ | 128 |
| ისე ვით შენი | 129 |
| ყოველ არსებას | 129 |
| გულის სათეთქელთან | 130 |
| ხარვეზი | 130 |



| | |
|-----------------------|-----|
| განთიადი მქედა | 131 |
| ყოველი წუთი | 131 |
| მოგეფერები | 132 |
| დაკარგულ სიყვარულს | 132 |
| ორჯერ | 133 |
| მარტის თეის ბავშვებს | 133 |
| საქუთარ თავთან | 134 |
| ** | 135 |
| პატარას | 135 |
| შემოღვიძის ყვავილი | 136 |
| ბედი ვარსკვლავთა | 136 |
| ისიდორე ქარსელაძეს | 137 |
| ** | 138 |
| გაიანე ნაკაიძის ასულს | 138 |
| სააგალმყოფოში | 139 |
| მოგონების სიზმარი | 140 |
| ჰერა დავდარგე | 141 |
| ** | 141 |
| შემომწირველთა სია | 142 |





IMPRIMERIE COOPÉRATIVE ARPAJONNAISE
91290 ARPAJON

F105.180

3

CHINESE LIBRARY
UNIVERSITY OF TORONTO LIBRARY